



# ჩვენი მოსაზრება კალისხმევის არ იშუბებს და ყოველმხრივ ხელს უწყობს სოფლის მეურნეობის განვითარებას

ორი წლის განმავლობაში მთავრობამ სოფლის მეურნეობის დარგის განვითარების ხელშეწყობის მიზნით კომპლექსური და მასშტაბური ღონისძიებები გაატარა, — ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა სასტუმრო „რედისონში“, სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს საქმიანობის პრეზენტაციაზე განაცხადა.



მისივე თქმით, დღეს თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ გადადგმულმა ნაბიჯებმა წარმატებულ შედეგებამდე მიგვიყვანა.

„ყველაზე სასიხარულო ის არის, რომ სათანადოდ დაფასდა მშრომელი ადამიანების — გლეხის, ფერმერის, მეწარმის შრომა. ჩვენ დაგვხვდა გაპარტახებული, დაცლილი სოფელი, სადაც აღარ არსებობდა ელემენტარული პირობები ნორმალური ცხოვრებისათვის. ჩვენი მთავრობა ძალისხმევას არ იშურებს და ყოველმხრივ ხელს უწყობს სოფლის მეურნეობის განვითარებას. დღეს გლეხები გრძობენ მთავრობის მხარდაჭერას საქმით, კონკრეტული ნაბიჯებით, რეალური თანადგომით და ეს მხარდაჭერა, დარწმუნებული ვარ, აუცილებლად აისახება ეკონომიკაზე, ჩვენი ხალხის სოციალურ მდგომარეობაზე“ — აღნიშნა პრემიერ-მინისტრმა.

ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებით, მთავრობას აქვს კონკრეტული ამოცანები და გეგმები სოფლის მეურნეობის სფეროში.

„ჩვენ თანამიმდევრულად ვახორციელებთ იმ პროექტებს, რომლებიც ხელს შეუწყობს ქვეყანაში ახალი სანარმოების გაჩენას, ადგილობრივი წარმოების განვითარებას, ექსპორტის გაზრდას. ახალი სანარმოების შექმნის ხელშეწყობის მიზნით ჩვენ დავინყებთ „შელაპითანი აგროკრედიტის“ და „სა-სოფლო-სამეურნეო პროდუქტების გადამამუშავებელი სანარმოების თანდადასახების“ პროექტების განხორციელებას. ეს პროექტები წარმატებით მიმდინარეობს.

„მე დარწმუნებული ვარ, რომ ამ

პროგრამის დახმარებით ფერმერებს სრულიად სხვა შესაძლებლობები გაუჩნდათ — მათთვის გაცილებით ადვილად ხელმისაწვდომი გახდა ფინანსური რესურსები. უახლოეს მომავალში, ჩვენი ქვეყნის მოსახლეობა უშუალოდ იგრძნობს იმ სიკეთეს, რასაც სოფლის მეურნეობის განვითარება მოუტანს ქვეყანას, — განაცხადა პრემიერმა.

მისი თქმით, ხელისუფლებაში მოსვლისთანავე, ბიძინა ივანიშვილის ინიციატივით, სოფლის მეურნეობა მთავრობის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტულ მიმართულებად გამოცხადდა.

პრემიერ-მინისტრმა სოფლის მეურნეობის ყოფილ მინისტრებს შალვა ფიფიას და დავით კირვალიძეს მადლობა გადაუხადა და ოთარ დანელიას წარმატებები უსურვა.

„საქართველოში სოფლის მეურნეობის უძველესი და მდიდარი ტრადიციები არსებობს. ქართველი გლეხი ყოველთვის გამოირჩეოდა მინისადმი განსაკუთრებული სიყვარულით და საუკუნეების განმავლობაში თავდადებულად შრომობდა და ქმნიდა დოვლათს. ჩვენ ძალიან დიდი რესურსი გვაქვს იმისათვის, რომ სწორედ ამ დარგმა შეასრულოს უმნიშვნელოვანესი როლი ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის გაძლიერებასა და ჩვენი ხალხის კეთილდღეობის მიღწევაში. ამიტომაც არის სოფლის მეურნეობის განვითარება ერთ-ერთი უპირველესი მიმართულება, საიდანაც უნდა დაიწყო ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური აღორძინება. ჩვენი მიზანია, სწორი სახელმწიფო პოლიტიკის საშუალებით მენარმეები, ფერმერები, გლეხები მყარად დადგნენ ფეხზე და უპასუხონ იმ ახალ ეკონომიკურ გამოწვევებს, რომელთა წინაშეც ქვეყანა დგას, შეძლონ აწარმოონ ევროპული სტანდარტის, ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტები, რომელიც იქნება კონკურენტუნარიანი და მყარად დაიმკვიდრებს ადგილს ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზრებზე“, — განაცხადა ღარიბაშვილმა.



გზით ჩვენი ქვეყნის რეგიონები კიდევ უფრო მომძლავრდებიან და ადგილობრივი მოსახლეობა წელში გაიმართება. ჩვენ კიდევ ერთი ძალიან მნიშვნელოვანი პროექტის განხორციელება დავინყებთ. ეს არის პროექტი „ანარმოე საქართველოში“, რომელზეც ჩვენ ძალიან დიდ იმედებს ვამყარებთ. ეს არის კიდევ ერთი პროექტი, რომელიც ჩვენ გვაძლევს ადგილობრივი პროდუქციის წარმოების განვითარების დიდ შესაძლებლობებს და იძლევა იმის საშუალებას, რომ გაიზარდოს ქართული პროდუქციის კონკურენტუნარიანობა როგორც ადგილობრივ ბაზარზე, ისე საექსპორტოდ. ჩვენ გავგვიჩნდა რეალური შესაძლებლობები იმისათვის, რომ ევროკავშირის ბაზარზე დამკვიდრდეს და კონკურენტუნარიანი გახდეს ჩვენი პროდუქტები. ჩვენ უკვე დავაფინანსეთ პროექტები, რომლებიც მეცხოველეობა-მეფრინველეობის, ზღვის პროდუქტების გადამამუშავების, სასათბურე მეურნეობის განვითარების კუთხით ძალიან პერსპექტიულია.“ — აღნიშნა ირაკლი ღარიბაშვილმა.

მისივე თქმით, აგროკრედიტის

## ღარიბი თეთრი ბაიკრალს აფრიალებს

ბასშელ კვირაში ქართულმა საზოგადოებამ ეროვნული ვალუტის გამო სერიოზული შოკი მიიღო: ლარის გაუფასურების პროცესი 21 ნოემბრიდან დაიწყო, დეკემბრის დასაწყისში კი, კურსმა ბოლო წლების „რეკორდი“ მოხსნა. შედეგად, დოლარის გასაყიდვად ფასმა 2 ლარს გადააჭარბა. უკვე არავინ აქცევდა ყურადღებას ეროვნული ბანკის მიერ დადგენილ ოფიციალურ გაცვლით კურსს და ყველა ცდილობდა დოლარი შეეძინა, რის გამოც ზოგიერთ სავალუტო ფიზურში ვალუტას ვედარც ნახავდით. ბოლო დღეებში სიტუაცია შედარებით დამშვიდდა, ლარიც გამყარების გზას დაადგა.

bpn.ge დაინტერესდა, ვინ იხეირა სავალუტო „ციხე-სიმაგრე“, რომელმაც ჩვენს საზოგადოებას სერიოზული უსიამოვნება მოუტანა და ამ შევითხვეთ სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდის უფროს მკვლევარს კახა ბობოლაშვილს მიმართა:

— ლარის კურსის ვარდნა უეცრად დაიწყო და პანიკური იყო, რადგან დოლარის ფასი ასე სწრაფად კარგა ხანია, არ ავარდნილა. კურსის ვარდნა მოხდა ევროს და სხვა ძირითადი ვალუტების მიმართ, თუმცა, ყველაზე მეტად მაინც დოლარის დეფიციტი შეიმჩნეოდა. ამ პროცესს ინფლაციისა და ლარის გაუფასურების მოლოდინმაც ხელი შეუწყო. შეიძლება იმ დღეებში სავალუტო ფიზურებმა დოლარი კიდევ გადამალეს იმიტომ, რომ უფრო მაღალ კურსს ელოდნენ, მაგრამ ასე არ მოხდა. საბოლოოდ იმ დასკვნამდე მივიღეთ, რომ ეს სპეკულაციური შეტევაა ჰგავდა, მაგრამ ვისგან მოდიოდა, ან ვინ ისარგებლა ამ შეტევით? — ამის თქმა ცოტა ძნელია. ფაქტია, რომ მოიგო იმან, ვინც დოლარს ყიდულობს და ყიდის და, საერთოდ, სავალუტო ოპერაციებს ეწევა. ალბათ, ბანკებსაც მოიგებდნენ იმიტომ, რომ იმ დღეებში ძალაუფლებდა ბევრი ოპერაცია განახორციელებდა, თუმცა, აშკარაა, რომ ჩვენმა მოსახლეობამ წააგო, რადგან უამრავმა ადამიანმა დოლარი ძალიან მაღალი კურსით შეისყიდა. ყველაზე დიდი ალბათობით მოიგეს სავალუტო ფიზურებმა და კომერციულმა ბანკებმა, თუმცა, დანამდვილებით ამასაც ვერ ვიტყვით, რადგან ამ საკითხსაც გამოკვლევა სჭირდება.

„ისევე ხალხმა წააგო“, — ამბობს ეკონომიკური პოლიტიკის ექსპერტთა ცენტრის აღმასრულებელი დირექტორი ქეთი კრიალაშვილი: — როდესაც ლარის კურსის ვარდნის გამო პანიკა დაიწყო,

მოსახლეობაში კიდევ უფრო გაიზარდა მოთხოვნა დოლარზე და, შესაბამისად, შემცირდა დოლარის რაოდენობა სავალუტო ბაზარზე. ამანაც იმოქმედა ლარის კურსზე. სხვათა შორის, იმ დღეებში სავალუტო ფიზურებიც აგონიაში იყვნენ. მე თვითონ მქონდა შემთხვევა, როცა დოლარი არც სავალუტო ფიზურებში იყო და, შესაბამისად, საქმიანობაც შეჩერებული ჰქონდა. დღე-ღამის განმავლობაში ლარის კურსი იმდენჯერ იცვლებოდა, რომ თვითონაც არ იცოდნენ, რა კურსი დაეფიქსირებინათ. ეს ყველაფერი შექმნილი აჟიოტაჟის შედეგი იყო, ლარის კურსი გაცილებით ოპტიმალური იქნებოდა, პანიკა

# ვინ იხეირა „ლარის სიხეხე-სხელებით“?

„იმ დასკვნამდე მივიღეთ, რომ ეს სპეკულაციური შეტევაა ჰგავდა!“

რომ არ შექმნილიყო. თუ დავაკვირდებით, ამჟამად კურსი ნელ-ნელა მყარდება, მართალია, ჩვენი ეროვნული ვალუტა ძველ ნიშნულს ვეღარ დაუბრუნდება, მაგრამ საბოლოო მანევრებული წლის ბოლოს დაფიქსირდება და 1,8-დან 1,9-ს შორის იმერყევებს.

ქეთი კრიალაშვილის თქმით, საქართველო, იმპორტზე და მოკიდებული, ამიტომ, ბუნებრივია, ჩვენი ეკონომიკა დოლარის კურსზეა მიბმული:

— ისიც უნდა ითქვას, რომ დოლარი მთელ მსოფლიოში მყარდება და ეს გამყარება აუცილებლად იმოქმედებდა ჩვენს სავალუტო კურსზე. მით უმეტეს, რომ ეროვნული ბანკიც გააჩემებული იყო და მისი პრეზიდენტი განცხადებას კარგა ხანს არ აკეთებდა. მოსახლეობა არ იყო ინფორმირებული, რას იზამდა მთავრობა, ან ეროვნული ბანკი. საბოლოო ჯამში წაგებული დარჩა ის, ვისაც ნახევრული დარჩა დოლარში, ნახევრული დარჩა ხალხი, რიგითი მომხმარებელი, ასევე — ადამიან-

ები, რომლებიც ლარზე არიან დამოკიდებული და ხელფასს ლარში იღებენ — ამ შემთხვევაში ყველა წაგებულია იმიტომ, რომ ლარის გაუფასურებას ფასების ზრდა მოჰყვა. ლარის უეცარი გაუფასურებით ისარგებლა მხოლოდ მცირე ნაწილმა, ვისაც ამ პროცესის გამო მოგება დარჩა. ფაქტია ისიც, რომ ჩვენს ქვეყანას არ მოუგია — კურსი რომ არ მოწინსვრიდებოდა, მერე უფრო გაუძნელებოდათ მიშვეებული კურსის უკან დაბრუნება, ამიტომ, ეროვნული ბანკი იძულებული გახდა ბაზარზე დოლარის რეზერვები გამოეშვა. შეიქმნა სიტუაცია, რომ რეზერვი, რომელიც დაგროვილი იყო, ნელ-ნელა გამოდის ბაზარზე იმისათვის, რომ ქვეყანაში დოლარის რაოდენობა გაიზარდოს, ამიტომ ამ პროცესში ეროვნული ბანკის მოგებაც საეჭვოა.

ექსპერტი ლევან კალანდაძე მიიჩნევს, რომ ლარის გაუფასურების გამო შექმნილი პანიკით არავის უსარგებლა და თუ ვინმემ მოგება ნახა, ეს მხოლოდ მოკლევადიან პერიოდს ეხება: „ამ პროცესის გამო ყველა წააგო — წააგო საზოგადოებამ, რომელსაც ცხოვრება გაუძვირდა“, ვისაც ადრე 175 ლარი ჰქონდა გადასახდელი, ახლა 190 და 192 ლარს იხდის. წააგო სახელმწიფომ, რომელმაც ყველა მაკროეკონომიკური პარამეტრი გაუარესებული აქვს, ნეგატიური ტენდენცია შეიმჩნევა როგორც საგადასმდელო ბალანსის, ასევე ბიუჯეტის შევსების მხრივაც. წააგო ბიზნესმა იმიტომ, რომ გაძვირება მოხმარების კლება მოჰყვება და ის ნაკარაუდები მოგება, რომელიც ქართულ ბიზნესს ჰქონდა, აღარ ექნება. შეიძლება დავეთანხმებით წმინდა პრაგმატულ მოსაზრებას, რომ ლარის კურსის ვარდნა იმპორტიორებისათვის არის მომგებიანი, მაგრამ ამასაც მხოლოდ ერთჯერადი, მოკლევადიანი ეფექტი აქვს. გრძელვადიან პერსპექტივაში ლარის გაუფასურება არ არის ბიზნესისთვის ხელშემწყობი ფაქტორი. თითქოს სავალუტო ფიზურებზე მოიგეს, მაგრამ მათ მხოლოდ რამდენიმე დღის განმავლობაში მიიღეს ერთჯერადი სარგებელი, მაგრამ, თუ ამ მოგებას საშუალოვადიან პერიოდზე გადავიყვანთ, ლარის კურსის ცვლილებას ყოველთვის მოსდევს გარკვეული პაუზა, რომელიც განვითარებას გადამეტებული მოგებას, იმ დღეებში რომ ნახეს. იგივე ვრცელდება ბანკებზეც — მოგება, რაც იმ დღეებში დარჩათ, ნეიტრალურ პერიოდში დაბალანსდება. მოდით, ასე ვთქვათ, ლარის კურსის დაცემით ვერავინ იხეირა და ვერც ვერავინ იხეირებს.“

საბუნა ჩიბოგიძე

# ცვლილებები კალოვან სტრუქტურებში

სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის უფროსად ანზორ ჩუბინიძე დაინიშნა, — ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა განაცხადა.

მისი თქმით, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის ყოფილი უფროსი თეიმურაზ მღებრიშვილი შს მინისტრის მოადგილე იქნება.

ანზორ ჩუბინიძე სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურს ბიძინა ივანიშვილის პრემიერობის დროსაც ხელმძღვანელობდა. შს მინისტრის პირველ მოადგილედ ვახტანგ გომელაური, მოადგილეად კი სოსო ყოფილი უფროსი თეიმურაზ მღებრიშვილი და სასჯელაღსრულების მინისტრის ყოფილი მოადგილე არჩილ თალაკვაძე დაინიშნება.

„ჩვენ გადავწყვიტეთ, რომ კიდევ ერთი შიდა უწყებრივი გადაადგილება განვიხორციელოთ, კერძოდ, შს მინისტრის ყოფილი მოადგილე გიორგი ზედელაშვილი დაინიშნება უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს ხელმძღვანელის მოადგილედ, ვახტანგ გომელაური იქნება შს მინისტრის პირველი მოადგილე, ასევე თეიმურაზ მღებრიშვილი, რომელიც იყო სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის უფროსი, დაინიშნება შს მინისტრის მოადგილედ. ასე-

ვე ჭიკაძის მოადგილედ გადავა სასჯელაღსრულების მინისტრის მოადგილე არჩილ თალაკვაძე“, — განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

პრემიერის თქმით, ის მაქსიმალურად ცდილობს, რომ გააძლიეროს უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭო.

„საჭირო იყო ამ საბჭოს გარკვეული რეფორმირება. ამ მიზნით ჩვენ დავნიშნეთ ახალ ხელმძღვანელად დავით სუჯაშვილი. როგორც მე ვაცნობე საზოგადოებას, ვინცეც შს-ს რეფორმირებას, მის გარდაქმნას, უწყებრივი უსაფრთხოების სამსახურის გამოყოფას. აქედან გამომდინარე, მიმართა, რომ ეს ცვლილებები ინსტიტუტების განვითარებაში კიდევ უფრო დაგვეხმარება“, — აღნიშნა პრემიერმა.



ანზორ ჩუბინიძე

# საით მივდივართ?



სახელისუფლებამ გუნდში დაიწყო პროცესი, რომელიც, სავარაუდოდ, მომავალი წლისთვისაც აქტიურად გაგრძელდება, თუმცა, სადამდე მივდივართ — ასე თუ ისე, პროგნოზირებადია. პროცესი თავდაცვის ყოფილი მინისტრის ირაკლი ალასანიას გადაყენებით დაიწყო, რომელსაც კიდევ ორი მინისტრის ნებაყოფილობით გადადგომა მოჰყვია. არც ისე დიდი დროის გასვლის შემდეგ, მთავრობაში საშუალო რგოლის ლამის მასობრივი წმენდა დაიწყო. ალასანიას შემთხვევაში, ასე თუ ისე, გასაგებია პიროვნულ თუ იდეურ შეუთავსებლობასთან შეიძლება გვეკონოდა საქმე, თუმცა, რატომ მოხდა პრემიერ-მინისტრის კადრების მასობრივი ჩამოცილება საპასუხისმგებლო თანამდებობებიდან, არც ერთი მხრიდან სათანადო ახსნა-განმარტება არ მოგვისმენია. საით შეიძლება, მივდივართ პროცესები, ამ თემაზე ექსპერტი ლევან ალაფიშვილი გვესაუბრება.

# ივანიშვილის ახალი სკლა თუ...

— ბოლო დროს მთავრობის საშუალო რგოლში საკმაოდ ბევრი ცვლილება განხორციელდა, მათ შორის, შს სამინისტროში. თქვენი შეფასებით, რა მოვლენის გამო გახდა აუცილებელი ასეთი უცვარი საკადრო წმენდა?

— ყველაზე უკეთ ამ გადამწყვეტილების მიმდებარე იცან, რატომ დატოვეს თანამდებობები. რაც შეეხება მიზეზს, ეს საჯაროდ უნდა განმარტებულიყო პრემიერის მხრიდან. სწორედ ამ მოცემულობამ, როდესაც ადეკვატური განმარტება ამ ყველაფრისა არ არის გაკეთებული და სახეზე გვაქვს მალაღობის თანამდებობის პირების მიერ ერთიანად თანამდებობების დატოვება, რჩება საშუალება იმ ვარაუდისთვის, რომ ეს არ არის ის, რასაც რეალურად შეიძლება ეწოდოს ნებაყოფილობით თანამდებობიდან წასვლა. საზოგადოებისთვის მიზეზების არგამხელა იმ ვერსიასაც აძლევს არსებობის საშუალებას, რომელიც ისმის ბოლო ხანს საზოგადოებაში და რომელიც გულისხმობს იმას, რომ გადამწყვეტილება არ არის მიღებული მთავრობის კედლებში, და ეს მთავრობის მიღმა მიღებული გადამწყვეტილების გაგრძელება და გაფორმებაა.

ყველა შემთხვევაში ეს დაკავშირებული არის არსებული სიტუაციის შეფასებასთან — როგორ შეაფასეს, რას ისახავდნენ მიზნად, რისი გაუმჯობესება უნდოდათ, ყველას ერთად თუ ცალ-ცალკე, ლოგიკურად არის ის, რომ რაღაც არ მოსწონდათ და რაღაცის გაუმჯობესებას ისახვენ მიზნად. მთავრობა იკეტება საკუთარ ნაჭურში. ხოლო საზოგადოებისგან გამოიწვევა თავისთავად ნიშნავს იმას, რომ ის მარტო რჩება. როდესაც ნებისმიერი საჯარო პირი აღწერს მთავრობის პროცესს, საზოგადოება არის ჩართული ყველაფერში, მხედველობაში მაქვს საზოგადოების ინფორმირებულობა — ეს თავისთავად ნიშნავს პასუხისმგებლობის გაზიარებას.

ორი წელი გავიდა და ვისაც არ ჰქონდა პოლიტიკური პროცესების გამოცდილება, უკვე გაცნობიერებული უნდა ჰქონდეს ეს ელემენტარული ჭეშმარიტება. გამოდის, რომ არსებულ სიტუაციაში საკუთარ გადამწყვეტილებაზე პასუხისმგებელი რჩება მხოლოდ თვითონ, სიტუაციის გაუარესების თუ გაუმჯობესების შემთხვევაში. სხვას ვერ გადააბრალევენ ვერაფერს ეს გუნდი.

— ამ შემთხვევაში ვის პასუხისმგებლობაზეა საუბარი ლარიაშვილის თუ ივანიშვილის? — ეს არ არის დასადგენი?

— ამიტომ ვთქვა, რომ ვინც შეაფასა მოცემულობა და თქვა, რომ არ არის კარგი და ეს არადაამაკეთებელი სიტუაციაა აი, ამ გზით უნდა შეიცვალოს უკეთესობისკენ — ვიღაც წავიდეს, ვიღაც დარჩეს — შესაძლოა, ყველა ერთად იჯდა კაბინეტში, სუსტ ნერტილობასა და მიღწევებზე მსჯელობდნენ და ვიღაცამ თქვა, რომ უკეთესია თუ თანამდებობიდან წავა — ეს ის კულუარებია, რომელსაც ჩვენ არავინ გვატყობინებს და არც გვიმარტავს და ამიტომ მარჩიელობას ემსგავსება ეს ყველაფერი.

ჩემთვის პირადად, რაკი ფაქტობრივი მონაცემები არ მაქვს და რაკი მთავრობის გადამწყვეტილებამ ასეთი ბუნდოვანება დატოვა, ლოგიკურად ჩნდება დასკვნა — რაღაც კარგი რომ ყოფილიყო, ის არ შეიცვლებოდა.

— გარდა ამისა, არის კონკრეტული ცვლილებები, რომელიც ეხება შს სამინისტროს. რამდენად მნიშვნელოვან ცვლილებებზეა საუბარი?

— შს სამინისტროში ორი უმნიშვნელოვანესი უწყების, გენერალური ინსპექციის და სუს-ის უფროსები შეიცვალნენ. გუშინ კიდევ ორი უმნიშვნელოვანესი ცვლი-

ლება მოხდა ეს მნიშვნელოვანი სფერო. შესაძლოა, რიგითი მკითხველისთვის ყველა სამინისტრო ერთი და იგივე იყოს, მაგრამ შს სამინისტროს ეს ორი სტრუქტურული არის ის სფეროები, რომელიც ისედაც დახურულია და განმარტებულიც რომ არ კეთდება, სიბნელეში, ბუნებრივია, ვერ დაინახავ, რეალურად რა მოხდა. ამიტომ, რას შეიძლება უთქვამოდ გვთქვას ეს ცვლილებები, ამის შესახებ ვარაუდის გამოთქმაც კი არ შემიძლია — ძალიან ბევრი რამ შეიძლება იყოს. მაგალითად შეიძლება, რომელიმე მათგანის ქმედება არ შეესაბამებოდა ეთიკის ნორმებს და ამას არ მოჰყვა სათანადო რეაგირება. ეს ყველაფერი რომ არ არის განმარტებული, რჩება სხვაგვარი ინტერპრეტაციების საშუალება, რომელიც პოლიტიკურმა ოპონენტებმა რაღაც სქემებს დაუკავშირეს.

ამიტომ რაღაც კონკრეტულის თქმა მიჭირს, განსაკუთრებით სუს-ის მიმართულებით, მისი სპეციფიკური საქმიანობიდან გამომდინარე. მისი ძირითადი დანიშნულება არის სახელმწიფოსთვის საფრთხეების არიდება. ამიტომ უკეთესი იქნებოდა პრემიერს უფრო მეტი და დამაჯერებელი განმარტება გაეკეთებინა.

— კულტურული ინფორმაციის ერთი ვერსია იყო, რომ, შესაძლოა, ივანიშვილმა ლარიაშვილი გადააყენოს, ხოლო მეორე ვერსია — რომ ლარიაშვილს ჯერჯერობით ხელს არ ახლებს, მაგრამ დაიწყებს სტრუქტურების შექმნას და ერთ-ერთი პირველი უწყება ამ კონტექსტში იქნება შს სამინისტრო. ლარიაშვილის ბოლო განცხადებებსაც თუ გაიხსენებთ, შს სამინისტროში რეფორმა მზადდება და ეს უსაფრთხოების სამსახურის განცალკევებას გულისხმობს. ეს ნიშნავს თუ არა, რომ რაღაც სერიოზული ცვლილებების მოლოდინი რეალურად უნდა გვექონდეს?

— ძალიან კარგია, რომ მთავრობამ ამ თემაზე დაიწყო ლაპარაკი. ნიშნისმოგებით არ ვამბობ, მაგრამ უნებლიეთ გახსენდება მათ მიერ გაკეთებული სულ რამდენიმე დღის წინანდელი განცხადებებიც — რამდენიმე თვის წინ შს მინისტრის მოადგილე იყო პირველი, რომელმაც თქვა, რომ შს სამინისტროს რეფორმირება უკვე დამთავრებული იყო და ატლანტიკური საბჭოს შენიშვნის ვერ გაითვალისწინებდნენ, შესაბამისად, აქტუალური აღარ იყო „ოცნების“ წინასაარჩევნო დაპირება შს-ს სტრუქტურული დაყოფის შესახებ.

შემდეგ თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ მნიშვნელოვანი კი იყო ეს ყველაფერი, მაგრამ დეპოლიტიზაცია მოხდა და ისეთი საფრთხეები, რაც წინა ხელისუფლების დროს არსებობდა, აღარ იყო. ამიტომ შს-ს რეფორმირებაზე და სტრუქტურულ დაყოფაზე უკვე მომავალ პარტლამენტს მოუწევდა მუშაობა.

რაც მთავარია, რამდენიმე დღის წინათ პრემიერი ამბობდა, რომ ძლიერი შს სამინისტრო ძლიერ სახელმწიფოს ნიშნავდა და აცხადებდა, რომ იმ არასამთავრობოებს, რომლებიც შს სტრუქტურულ ცვლილებაზე საუბრობდნენ, სამინისტროსა და შესაბამისად, სახელმწიფოს დასუსტება სურდათ.

— კიდევ ერთი მომენტი — შს რეფორმირებაზე საუბარი იყო როგორც წინასაარჩევნო, ასევე პირველ სამთავრობო პროგრამაშიც. მას შემდეგ რაც ივანიშვილი პრემიერიდან წავიდა, შემდგომ ორ სამთავრობო პროგრამაში სიტყვაც არ არის ნახსენები შს სამინისტროს რეფორმირებაზე. საინტერესოა რატომ? ან იმ პარტლამენტს არ უნდა მოვთხოვოთ პასუხი, რომელმაც ამ სამთავრობო

პროგრამებს დაუჭირა მხარი? რატომ გამოუცხადა ნდობა? ეს არის ის კითხვები, რომელიც დღეს საკმაოდ აქტუალურია.

— ეს, რა თქმა უნდა, ვარაუდია, მაგრამ შს-ს მიმართ გაკეთებულ განცხადებებს თუ გადავხედავთ, სადაც მუნიციპალიტეტისა და სახელმწიფოს ძღვერებაზე იყო საუბარი, როგორც ჩანს, მართვა თუ მონიტორინგი დიდწილად დაფუძნებული იყო სწორედ შს სამინისტროზე. მისი მეშვეობით სახელმწიფოს მართვა კი არც ერთ სახელმწიფოში არ ამართლებს გრძელვადიანი პერსპექტივით.

ალბათ, ამით იყო განპირობებული ასეთი მწვავე რეაქციებიც და სამთავრობო პროგრამიდან მისი (შს სამინისტროს რეფორმის) გაქრობაც. ფარული მოსმენების გატანაზე როდესაც ასეთი რეაქციები ვიხილეთ, შს სამინისტროს გაყოფაზე, როგორც ჩანს, უფრო მწვავე რეაქცია იქნებოდა.

და თუ როგორც დღეს არის შს სამინისტრო, ასეთი სტრუქტურა წარმოგადგენია შენს საყრდენად, ლოგიკურად აკეთებ დასკვნას — თუ ეს ფუნქციები მოსცილდა, აღარ იქნება ძლიერი, ვერ დავეყრდნობა და, შესაბამისად, გამართულებდა ქვეყნის მართვა — რაც არ არის სწორი. მართვის საუკეთესო მოდელი ინსტიტუციები და დემოკრატიული მართვა და ყველაზე ძლიერი სახელმწიფო ინსტიტუტები დემოკრატიის პირობებში არსებობენ. ავტორიტარიზმის პირობებში ინსტიტუტები არ მართავენ, იქ მართავენ პერსონალიები. „ინსტიტუტები“ მხოლოდ ინსტიტუტები არიან.

— თუ ორი წელი ცდილობდა ხელისუფლება არსებული სისტემის შენარჩუნებას, ახლა რატომ შეიცვალა პოლიტიკა? გარდაუვალი აუცილებლობით იყო გამოწვეული? ინსტიტუტების შექმნისკენ მიდის ეს ყველაფერი?

— ნახეს, რომ სისტემა პერსონალიების დონეზე გაჯანსაღდა, მაგრამ მაინც რისკების შემცველია და ხვედელიძის შემთხვევა ამის ყველაზე კარგი მაგალითია. როდესაც იგივე სისტემას ინარჩუნებ და მხოლოდ სახელებსა და ვარაუდებს ცვლი, ბუნებრივია, რისკები გრძობა და გრძელვადიან პერსპექტივაში სახელმწიფოსთვის ეს კარგი არ არის. როგორც ჩანს, რისკები დაინახეს და ეს კარგია.

ამის შესავალი ერთადერთი გზა არსებობს და ეს არის ინსტიტუციონალიზაცია. როდესაც სხვადასხვა რანგის თანამდებობის პირები მივლენ, წავლენ ინსტიტუტებიში, მაგრამ ინსტიტუტები იმუშავენ, როდესაც სახელმწიფოს საფუძვლები არჩვენებიდან არჩვენებამდე არ შეირყევა, ქვეყანაში აღარ იარსებებს საარჩევნო რეჟიმში ქვეყნის გადასვლა და არჩვენებზე მორგებული ბიუჯეტი და ა.შ. მოქალაქეებს მოემსახურება ინსტიტუტები, რომელიც იარსებებს დიდხანს და არ იქნება ხელსუფლების ცვლაზე დამოკიდებული.

— როგორ ფიქრობთ, ეს ბიძინა ივანიშვილის იდეაა, რომელიც გარედან ადვენებს თვალს პროცესებს თუ ხელისუფლების შიგნით მომწიფდა?

— მინდა მჯეროდეს, რომ ხელისუფლება ფრთხილობდა, რადგან გამოცდილება არ ჰქონდა და ამიტომ განეცო პროცესი. იმედი მინდა, ვიქონიო, რომ ერთიანი სახელმწიფო ხედვა იქითკენ იქნება მიმართული, რომ არა მხოლოდ შს სამინისტროში, რეალურად სადმე თუ დარჩება ადგილი, სადაც სუბიექტური გადაწყვეტილების თუ სხვა რისკები იარსებებს, ყველგან აღმოიფხვრება და იქაც ინსტიტუციური მართვის მოდელი შეიქმნება.

ესაუბრა ლალი ზირაძი

## ალიანალიანი

### ჟუაო სუარესი ნაყოფიერების 3600 მიკრომეტრი

ეუთოს სპეციალური წარმომადგენელი სამხრეთ კავკასიაში, პორტუგალიის პარლამენტის წევრი ჟუაო სუარესი საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს დავით უსუფაშვილს წერილით მიმართავს.

ჟუაო სუარესის განცხადებით, იგი ყურადღებით და შემოთვლილად ადევნებს თვალს საქართველოში მიმდინარე შიდა მოვლენებს მართლმსაჯულების სისტემის პოლიტიკური მიზნებით ბოროტად გამოყენების ინფორმაციის ფონზე.

„არაერთმანა საერთაშორისო მონაწილემ, მათ შორის OSCE/ODIHR-ისა და ეუთოს რამდენიმე ქვეყანამ გამოხატა შეშფოთება სასამართლო პროცესების სამართლიანობისა და იმ ფაქტის გამო, რომ ოპოზიციის ზოგიერთი წევრი ან პატიმრობაშია (ძირითადად წინასწარ პატიმრობაში) ან ბრალდების/გამოძიების ქვეშ არის“, — ნათქვამია სამხრეთ კავკასიაში ეუთოს სპეციალური წარმომადგენლის წერილში.

ჟუაო სუარესის განცხადებით, ყოველივე ეს ჩრდილს აყენებს საქართველოს მიერ ბოლო წლებში მიღწეულ დემოკრატიისა და ინსტიტუციური განვითარების პროგრესს. მისივე თქმით, 2012 წლის ოქტომბერში, პირველად არჩევნების გზით ძალაუფლების მშვიდობიანი გზით გადაცემა ქართული დემოკრატიის განვითარების ილუსტრირება იყო.

როგორც პორტუგალიელი პარლამენტარი აღნიშნავს, საქართველოს ხელისუფლებამ უნდა უზრუნველყოფს ქვეყნის დემოკრატიული კონსოლიდაციისკენ სვლა და არ დაუშვას ქვეყნის რეგრესი.

ჟუაო სუარესი ასევე აღნიშნავს, რომ საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის მიხედვით სააკაშვილის გასამართლება, მისთვის დაუშვრებლად წინასწარი პატიმრობის შეფარდება და მისი ოჯახის ქონების დაყადება, რომელსაც ბრალდებულთან არანაირი კავშირი არ ჰქონია, განსაკუთრებით შემოშფოთებელი იყო.

„მიუხედავად იმისა, რომ კანონზე მალა არავინ დგას, ამ და სხვა გამოძიებების პოლიტიკური ხასიათი ძირს უთხრის მართლმართლების მტკიცებას იმის თაობაზე, რომ კანონის უზენაესობა დაცულია“, — ნათქვამია ჟუაო სუარესის წერილში.

მისივე განცხადებით, საქართველოში დემოკრატიასა და სტაბილურობას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სამხრეთ კავკასიის მთელი რეგიონის უსაფრთხოებისთვის. სუარესის თქმით, საქართველომ ცოტა ხნის წინათ ხელი მოაწერა ვეროკავშირთან ასოციაციის შეთანხმებას, რომლის იმპლემენტაციაც საქართველოს მხრიდან, სპეციალური მოთხოვნისა და სტანდარტების შესრულებას მოითხოვს, მათ შორის, დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის სფეროში.

„მოგწონდა საქართველოს მთავრობას, მტკიცედ დაიცვას კანონის უზენაესობა, ეუთოს სტანდარტები და ითანამშრომლოს ოპოზიციასთან ქვეყნის დემოკრატიული მომავლის უზრუნველსაყოფად“, — ნათქვამია ჟუაო სუარესის საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის დავით უსუფაშვილისთვის გაგზავნილ წერილში.

### ოლეგ ბელნიკოვი პატიმრობიდან გათავისუფლდა

კუდ-ის ყოფილი თანამშრომელი ოლეგ ბელნიკოვი პატიმრობიდან გათავისუფლდა, — ამის შესახებ ინფორმაცია „ინტერპრესნიუსს“ ადვოკატმა ვარლამ ბალხაიშივილიმ დაუდასტურა.

ბელნიკოვი ენ. ბატროსოვის ციხიდან 6 დეკემბერს გაათავისუფლეს. ადვოკატის ინფორმაციით, მისი დაცვის ქვეშ მყოფი საქართველოში. კუდ-ის ყოფილი თანამშრომელს ბრალი ორი სისხლის სამართლის საქმეზე აქვს წარდგენილი — სანდრო გირგვლიანის მკვლელობის საქმეზე, ასევე 2005 წელს ენ. მოდულის შენობაში 3 პოლიციელების ცემის საქმეზე. ორივე ბრალდება ბელნიკოვმა აღიარა, რის სანაცვლოდაც მას პროკურატურამ საპროცესო შეთანხმება გაუფორმა.

შს-ის ყოფილი მაღალჩინოსანი ოლეგ ბელნიკოვი, რომელზეც ქართულ მხარეს ეძებნა ჰქონდა გამოცხადებული, 2012 წლის 7 დეკემბერს, უკრაინელმა სამართალდაცველებმა კიევი დააკავეს. ამ დროისთვის მას საქართველოში წინასწარი პატიმრობა ჰქონდა შეფარებული. მისი ექსტრადირება საქართველოში 21 სექტემბერს მოხდა. ბელნიკოვი თავდაპირველად წარდგენილ ბრალდებებს არ აღიარებდა, შემდეგ კი განაცხადა, რომ თავს დამნაშავედ ცნობდა. მან ჩვენებები მისცა სხვადასხვა სისხლის სამართლის საქმეებში ყოფილი თანამდებობის პირების წინააღმდეგ.

ინტერპრესი

© ზინანსაზი

„თუ ფული გაქვს, უენი პარ...“

2008 წლის შემდეგ ქვეყანას ამ ოდენობის ინვესტიცია არ მიუღია. წლებიდან მესამე კვარტალში შემოსულმა ინვესტიციებმა 6-წლიანი რეკორდი მოხსნა. მთავრობის ეკონომიკური გუნდი წლის ბოლოს ცოტა მოფერიანდა. ერთ კვარტალში, ყველაზე მეტი ინვესტიცია ბოლოს 2008 წლის მე-2 კვარტალში შემოვიდა - 605 მილიონი დოლარი. მთლიანობაში, სამ კვარტალში საქართველოში ინვესტირებმა 924 მილიონი დოლარის უცხოური ინვესტიცია შემოიტანეს. მთავრობა 1-მილიარდიანი საინვესტიციო გეგმის შესრულებას წელს ნამდვილად მოახერხებს.

ინვესტიციებზე მთავრობის სივრცეში მოაზროვნა

508 მილიონი დოლარი, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 99%-ით აღემატება, ხოლო 2012 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს - 155%-ით. მინდა, გითხრა, რომ 9 თვის განმავლობაში საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა 923 მილიონ დოლარს შეადგენს, რაც 2013 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს აღემატება 29%-ით, ხოლო 2012 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს - 36%-ით.



წინასწარი მონაცემებით, მე-3 კვარტალში ინვესტიციები 99 პროცენტით აღემატება 2013 წლის მესამე კვარტალის მონაცემებს. ინვესტიციების მიხედვით, პირველ ადგილზე ჩინეთია. ამ ქვეყანამ ივლის-სექტემბერში მოულოდნელად 149 მილიონი დოლარის კაპიტალდაბანდება მოახდინა მაშინ, როდესაც მე-2 კვარტალში ჩინური ინვესტიცია 6 მილიონი იყო, 1-ელ კვარტალში კი სულაც 2 მლნ დოლარი.

ინვესტიციების სიდიდით მეორე ადგილზე აზერბაიჯანია - 95 მილიონი დოლარი, ხოლო მესამეზე ნიდერლანდები - 90 მილიონი დოლარი.

უმსხვილესი სექტორების წილმა (განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მიხედვით) მესამე კვარტალში 69 პროცენტი შეადგინა. ყველაზე მსხვილი პირდაპირი უცხოური ინვესტიცია მშენებლობის სფეროში განხორციელდა - 181 მილიონი დოლარი. მეორე ადგილზეა ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა - 109 მილიონი დოლარი, ხოლო მესამეზე უფრო ადგილი - 61 მილიონი დოლარი.

საქართველოში ინვესტიციების გაზრდასა და ბოლოდროინდელ ეკონომიკურ მოვლენებზე განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა. მისი თქმით, ინვესტიციებთან ერთად იზრდება ეკონომიკაც და ეს არის პასუხი იმ ცრუ ბრალდებებზე, რომლებიც ე.წ. ექსპერტები და ოპოზიცია გამოთქვამს.

„მესამე კვარტალში საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ შეადგინა

თუ გადავხედავთ აღნიშნულ მაჩვენებელს გრძელვადიან დინამიკაში, დაგინახავთ, რომ 2008 წლის მეორე კვარტალის შემდეგ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ასეთი მაღალი მაჩვენებელი არც ერთ კვარტალში არ დაფიქსირებულა. აღსანიშნავია რეინვესტიციების დონაც, რომელმაც შეადგინა 26%, ხოლო ახალი კაპიტალის წილი ამ მაჩვენებელში არის 73%“, - განაცხადა პრემიერ-მინისტრმა და დასძინა, რომ წელს ეკონომიკური ზრდა 5%-ს გადააჭარბებს, ანუ ქვეყანას ექნება უფრო მეტი ეკონომიკური ზრდა, ვიდრე აქვს უფრო ძლიერი ეკონომიკის მქონე ქვეყნებს, მაგალითად, ყაზახეთს, აშშ-ს, თურქეთს, რუსეთს, აზერბაიჯანს.

ეკონომიკის მინისტრი გიორგი კვიციანი „საქსტატის“ მიერ გამოქვეყნებულ პირდაპირი უცხოური ინვესტი-

ციების წინასწარ მონაცემებს დადებითად აფასებს. მისი თქმით, ძალიან სასიხარულოა, რომ ასეთი დადებითი ტენდენცია აღინიშნება ინვესტიციების მოზიდვის კუთხით.

„ჩვენ გვქონდა საუბარი საერთაშორისო ექსპერტებთან, სადაც ინვესტიციების ხელშეწყობა კანონმდებლობაზე ვისაუბრეთ იმისათვის, რომ საქართველოში ჩვენ შევექმნათ ერთ-ერთი ყველაზე მიმზიდველი საინვესტიციო კანონმდებლობა. წინასწარი მონაცემებით, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები 9 თვის მონაცემებით 29%-ით არის გაზრდილი. მესამე კვარტალის მონაცემები (შარშანდელ ანალოგიურ პერიოდთან შედარებით) გაორმაგებულია. ძირითადი ინვესტიციები მოდის სამშენებლო, ტრანსპორტისა და საფინანსო სექტორებზე. პირველ სამეულში შედის ჩინეთი, აზერბაიჯანი და ნიდერლანდები“, - განაცხადა კვიციანი.

ამგვარ საინვესტიციო მონაცემებს სკეპტიკურად უყურებს ეროვნული ბანკის ყოფილი ხელმძღვანელი რომან გოცირიძე. მას ქვეყანაში განხორციელებულ საგარეო ინვესტიციებთან დაკავშირებით სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებში ეჭვი შეაქვს და აცხადებს, რომ „აღნიშნული ინვესტიციები არც ლარს ეტყობა და არც ეკონომიკას“.

„2014 წლის მესამე კვარტალში უცხოური ინვესტიციების მოცულობა 508 მლნ დოლარია, ყველაზე მეტი ბოლო 6 წელიწადში. თურმე მხოლოდ მშენებლობაში და ტრანსპორტ-კავშირგაბმულობაში 300 მილიონ დოლარამდე ჩადებულა... ძალიან საეჭვოა. სტატისტიკის დეპარტამენტმა უნდა გამოაქვეყნოს სრული სია, რომელ საწარმოებში განხორციელდა მსხვილი ინვესტიციები და განმარტოს, რაიმე ცვლილება ხომ არ შევიდა გაანგარიშების მეთოდიკაში. ინვესტიციები არც ლარს ეტყობა და არც ეკონომიკას“, - აღნიშნავს გოცირიძე.

ოფიციალური სტატისტიკა კი ადასტურებს, რომ მესამე კვარტალში ქვეყანამ ლამის 1 მილიარდი დოლარის უცხოური კაპიტალი მიიღო. ესე იგი, წლებიდან წლები საინვესტიციო გეგმა, პრაქტიკულად, უკვე შესრულებულია.

ბექა ლანელია

© ალიანჯალიანი

„აირზენას“ სოლიდარობას უხსნა

თბილისის საერთაშორისო აეროპორტთან „ჯორჯიან ეარვეისის“ თანამშრომლების საპროტესტო აქციას ქართული ტურისტული კომპანიებიც შეუერთდნენ.

როგორც ტურისტული კომპანია „ოლტურსის“ დამფუძნებელი მაია მჭედელიძემ განუცხადა, ისინი სოლიდარულად არიან იმ მოთხოვნების მიმართ, რაც „აირზენას“ აქვს.

მისივე თქმით, ქართული ტურისტული კომპანიები მძიმე მდგომარეობაში არიან, რადგან არ არსებობს რეგულაციები, რომლებიც უცხოურ ტურისტულ კომპანიებთან კონკურენციის განხორციელების საშუალებას იძლევა.

„ჩვენ ჩართვებზე ვაკეთებთ „აირზენას“ მსგავსი ტურისტული კომპანიების დახმარებით ვართ. ჩვენ გვაქვს ჩვენი პრობლემები, რომლებიც გამოიხატება იმაში, რომ უცხოური ტურისტული კომპანიები ქართული ტურისტული კომპანიების ჩაყვანას ცდილობენ. ეგვიპტური და თურქული ავიაკომპანიები საქართველოში შემოდის დემინგურ ფასებით, ისინი ძალიან დაბალ ფასებს და იძულებულს გვხდებიან, ჩვენც ასე მოვიქცეთ, რაც ჩვენი რესურსიდან გამომდინარე, ქართულ ტურისტულ კომპანიებს ძალიან დიდი პრობლემას უქმნის. მათი რესურსი კი, ძალიან დიდია და ამის საშუალება აქვთ. ისინი ცდილობენ მსგავსი მეთოდებით ჩაგვყვანონ და ქართულ ტურისტულ ბაზარზე მხოლოდ ისინი დამკვიდრდნენ. აქედან გამომდინარე, მოვითხოვ რეგულაციებს, რომ ყველა თანაბარ პირობებში ვიმყოფებოდეთ და პირველ რიგში უპირატესობა მიენიჭოთ ქართულ კომპანიებს. ეს მოთხოვნები, რა თქმა უნდა, მთავრობამ უნდა გაითვალისწინოს“, - განაცხადა მჭედელიძემ.

საქართველოს საერთაშორისო სატრანსპორტო შეთანხმების ნაწილის შესახებ

საქართველოს პარლამენტმა საერთაშორისო შეთანხმების „სატრანსპორტო საშუალებების რეგულირების შესახებ“ რატიფიცია მოახდინა.

შეთანხმებაზე შეერთების შედეგად, საქართველოს მიერ შესაძლებლობა მის ტერიტორიაზე წარმოებული თვლიანი სატრანსპორტო საშუალებებით, მათ შორის, მსაბუქი და სატვირთო ავტომობილები, მისაბმელები, ავტობუსები, მოტოციკლები და სხვა თვითმავალი მანქანები და მექანიზმები და მათი სათადარიგო ნაწილები ავტომატურად იქნეს აღიარებული შეთანხმების წევრი 48 ქვეყნის მიერ. გარდა ამისა, საქართველოს ექნება უფლება, ავტოსატრანსპორტო საშუალებებს და მათ მისაბმელებს, მისაბმელების საიდენტიფიკაციო 17-ციფრის კოდი და ჩაერთოს ერთიან მონაცემთა სისტემაში და ჰქონდეს შესაბამის ერთიან ინფორმაციაზე სრული წვდომა.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილის ნათია მიქელაძის განცხადებით, მიუხედავად იმისა, რომ ამჟამად საქართველოში ავტომობილების წარმოება არ ხორციელდება, რამდენიმე კომპანია უკვე გამოთქვა სურვილი, საქართველოში დაიწყოს აღნიშნული პროდუქციის წარმოება, რაც უდავოდ მნიშვნელოვანი იქნება საქართველოსთვის.

აშკარის ჩატარების მოწყობა

წელს საქართველოში წითელას 3 ათასი შემთხვევა დაფიქსირდა. რაც შეეხება ბოლო ორი წლის მონაცემებს, დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ინფორმაციით, წითელას 11 ათასზე მეტი რეგისტრირებული შემთხვევა ფიქსირდება.

დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის გადამდებ დაავადებათა დეპარტამენტის უფროსის სათუნა ზახაშვილის ინფორმაციით, მონაცემები განგაშის საფუძველს იძლევა.

„მიმდინარე წელს წითელას 3 ათასზე მეტი შემთხვევა დაფიქსირებულია, რაც შეიძლება საგანგაშოდ მივიჩნიოთ. საქართველოს მასშტაბით ყველაზე მეტი შემთხვევა თბილისშია. რაც შეეხება ასაკობრივ მონაცემებს, შემთხვევები ძირითადად ზრდასრულ ადამიანებში ფიქსირდება“, - განაცხადა სათუნა ზახაშვილმა. დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრი მოუწოდებს ყველას, ვისაც წითელას სანინაღმდეგო აცრა არ ჩაუტარებია, მიმართონ ექიმს და ჩაიტარონ აცრა. ეროვნული ცენტრის ინფორმაციით, აცრებს სახელმწიფო სრულად აფინანსებს.

ინტერპრესი

© თანამშრომლობა

ყარსის კონფერენსია - 2014

სტატიკაში მოცემულია თურქეთის ქალაქ ყარსში 10 დეკემბერს გამართული სამი სახელმწიფოს - თურქეთის, აზერბაიჯანისა და საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრების მეფლად ჩავეშოლულს, ელმარ მამედიაროვისა და თამარ ბერუჩაშვილის შეხვედრის მიმდინარეობა და შედეგები (ავტორი - ბაირამ საფაროვი).

პუბლიკაციაში აღნიშნულია, რომ სამი მებობელი ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრები წინა წლებშიც ხდებოდა ხოლმე - თურქეთის ქალაქ ტრაპიზონში (2012 წლის ივნისში), საქართველოში - ბათუმში (2013 წლის 28 მარტს), აზერბაიჯანში - განჯაში (2014 წლის 19 თებერვალს) და აი, ახლა უკვე ისევ თურქეთის ქალაქ ყარსში.

სამიტის ჩარჩოებში გაიმართა თურქეთისა და აზერბაიჯანის მინისტრების საუბარი, რომლებიც შემდეგ ცალ-ცალკე შეხ-

ვედნენ თავიანთ ქართველ კოლეგას - თამარ ბერუჩაშვილს. განხილეს როგორც ორმხრივი, ასევე სამხრივი და რეგიონული ურთიერთობების საკითხები, ისაუბრეს ტრანსკავკასიურ სატრანსპორტო კომუნიკაციების განვითარებაზე, რეგიონში თანამშრომლობის, უსაფრთხოებისა და მშვიდობის განმტკიცებაზე. სამიტის ბოლოს მიიღეს ყარსის დეკლარაცია, რომელშიც მოლაპარაკების შედეგები აისახა. მინისტრები დეკლარაციაზე ხელმოწერის შემდეგ შეხვედნენ ჟურნალისტებსაც.

სტატიკაში გადმოცემულია, აგრეთვე, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის თამარ ბერუჩაშვილის მიერ ანკარაში (ყარსში ჩასვლამდე) გამართული შეხვედრების შედეგები: იგი შეხვდა თურქეთის პრეზიდენტ რეჯეპ ერდოღანს, საქართველომ და თურქეთმა მოლაპარაკეს, რომ ყოველწლიურად ჩატარდება თანამშრომლობის უმაღლესი საბჭოს სხდომები. ისაუბრეს აგრეთვე ორმხრივ და სამხრივ თანამშრომლობაზე (აზერბაიჯანთან ერთად).

გარდა ამისა, თამარ ბერუჩაშვილმა გამართა შეხვედრა საქართველოში აკრედიტებულ უცხოეთის არარეზიდენტ ელჩებთან (რეზიდენციით - ანკარაში).

სტატიკაში მოცემულია, აგრეთვე, ბაქოს უნივერსიტეტის პროფესორის, პოლიტოლოგ ფიკრეტ სადიხოვის კომენტარიც ყარსის შეხვედრის თაობაზე: „ეს შეხვედრა სამივე სახელმწიფოს ინტერესების გამოხატულებაა. ასეთ შეხვედრებზე ერთობლივად წყდება პოლიტიკური და ეკონომიკური საკითხები, განიხილება მნიშვნელოვანი რეგიონული და საერთაშორისო პრობლემები, ხდება აზრთა გაცვლა-გამოცვლა, გაზიარება და შეჯერება. გარდა ამისა, ამ სამ ქვეყანას აერთიანებთ, აგრეთვე, მსგავსი პრობლემები არსებობა, რომელიც აგრესიულ სეპარატიზმთანაა დაკავშირებული... ასე რომ, ასეთი შეხვედრები ურთიერთობის განმტკიცების, პოზიციების დაახლოების გზაა, რაც რეგიონს და ზოგადად მსოფლიოს დადებით შედეგებს მოუტანს“, - განაცხადა ფიკრეტ სადიხოვმა.

მოამზადა სიმონ კილაძემ



შემოსავალი



ჩვენ, დასაქმებული ლატაკები...

ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ოფიციალური მონაცემების თანახმად, 40 ათას ლარზე მეტი წლიური შემოსავალი საქართველოში 21870 კაცს აქვს. თუ ამ თანხას ყოველთვიურზე გადავიანგარიშებთ, გამოვა, რომ თვეში 3,3 ათასი ლარზე მეტი 3,7-მილიონიან ქვეყანაში მხოლოდ დაახლოებით 22 ათას კაცს აქვს. აქედან გამომდინარე, ფიქრობთ, ბევრი ტვინის ძვლებია არ სჭირდება იმაში კიდევ ერთხელ დარწმუნებას, რომ ბოლო ორნახევარი ათწლეულის მანძილზე თავის დროზე ყველაზე მეტად წელგამართული საბჭოთა რესპუბლიკის მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური ყოფა კატასტროფულად გაუარესდა.

მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობის უკიდურეს სოციალურ გაჭირვებას, გარდა აღნიშნულისა, მრავალი სხვა ფაქტიც მოწმობს. ესენია, კერძოდ, მოვალეთა ნუსხის ყოველთვიური 3-ათასკაციანი ზრდა, უმწეო იპოთეკართა მზარდი რიცხვი, პენსიების დონე და სოციალური სტატუსის გარკვევის, ასევე საარსებო მინიმუმის გაანგარიშების ადამიანური ღირსების შემლახავი პროცედურები და მეთოდოლოგია, უკლებლივ ყველა ასაკისა და კვალიფიკაციის სპეციალისტების ყველა ჯგუფში მასობრივი უმუშევრობა, ანდა, უკეთეს შემთხვევაში, არაპროფილური დასაქმება და სხვ. მაგრამ, რომ იტყვიან, ყველაფრის თავი და თავი მაინც ის არის, რომ საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის ერთ საუკუნეში ხელმეორედ მოპოვების შემდეგ განვლილი თითქმის 25 წლის მანძილზე, ქვეყნის არც ერთ მთავრობას მკაფიოდ ჩამოყალიბებული ქვეყნის ეკონომიკური განვითარების პროგრამა არ ჰქონია. ამ მიმართულებით ფარატინა ქალაქზე დარწმუნებით ყველა პროგრამა მხოლოდ ამა თუ იმ მთავრობის პიარული სვლა იყო, რეალური ნაბიჯები კი მოსახლეობის მთელ მასას, უკეთეს შემთხვევაში, სულის მოთქმის ოდნავ შესაძლებლობას თუ აძლევდა.

ექსპერტები ხაზს უსვამენ იმ გარემოებასაც, რომ მოსახლეობის უმეტესი ნაწილის სიდუხჭირის მიუხედავად, ჩვენში „შეძლებული კაცის“ ზედა, ასე ვთქვათ, „ნორმატიული“ მიჩნეულ ზღვრად დადგინდა 40 ათასი ლარი, ევროპული მასშტაბით, საშუალოზე ნაკლები თანხაა, რაც დანარჩენი მოსახლეობის უკიდურესად მძიმე მდგომარეობას კიდევ უფრო მეტად წარმოაჩენს. კიდევ ერთი გარემოება, რომელსაც ისინი ყურადღებას აქცევენ, ისაა, რომ ბევრი, ვისაც შემოსავლის დეკლარაციის შევსება არსებული კანონმდებლობით ეკისრება, ამას ან სრულად არ აკეთებს და ამით ქონების გადასახადის გადახდას გაურბის, ანდა დეკლარაციას არასრულად ავსებს. ის 22 ათასი კაცი, ვინც ქონებრივ დეკლარაციას ჩვენში ოფიციალურად წარადგენს, უმეტესწილად, საჯარო სამსახურში დასაქმებული ხალხია, რაც ასევე იმას მიგვანიშნებს, რომ სწორედ ამ სექტორში

ანაზღაურდება გაცილებით მაღალია — თანაც ტრადიციულად: ჯერ კიდევ საბჭოთა დროიდან მოყოლებული ისეა ანგარიშები საქმე, რომ ჩვენში „ხალხის მსახურები“ თავიანთ „დამსაქმებლებზე“ შეუდარებლად მაღალ გასამრჯელოს იღებენ.

ეს გარემოება კი, თავის მხრივ, ამ უმეტესწილად პრობლემის კიდევ ერთ, საზოგადოებრივად გაცილებით უფრო მნიშვნელოვან ნახნაგს წარმოაჩენს — ეს გახლავთ ეროვნული მენარმეობის ლამის გენეტიკური, თანდაყოლილი სისუსტე, რომელიც მაღალი დონის მფარველობის გარეშე, არსებითად, სრულიად უუნაროა. „სარეცელს მიჯაჭვული“ ბიზნესს კი, თავის მხრივ, მისი მომსახურე ყველა პირისთვის ჯეროვანი საფასურის გადახდა ელემენტარულად არ შეუძლია.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, ქვეყანაში აქტიური მუშახელის ოდენობა ორ მილიონ კაცზე მეტია. მათ შორის, თითოდასაქმებული ერთი მილიონი კაცია (თუმცა, აქვე საგანგებოდ გვინდა ხაზი გავუსვათ იმ გარემოებას, რომ საქსტატის სპეციალისტთა მიერ ამის დადგენისას გამოყენებული მეთოდოლოგია ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს და სინამდვილისგან ძალიან შორსაა — მ. შ.). აღნიშნული ორი მილიონი კაციდან დაქირავებით დასაქმებულია 658 ათასი, მათ შორის, საჯარო და საბიუჯეტო სტრუქტურებში — 300 ათასი პირი, ანუ დაქირავებით დასაქმებულთა 45 პროცენტს მუშაობს. ჰოდა, ყველაზე საგულისხმო სათქმელსაც სწორედ ახლა მივაღებთ: ჩვენში „შეძლებულობის ქვედა ზღვრად“ მიჩნეული 3,3 ათასი ლარის ყოველთვიურად მიმღებთა უმეტესი ნაწილი სწორედ ამ სფეროებშია დასაქმებული! ეს ხალხი, ძირითადად, მთავრობის წევრები, სამინისტროებისა და მათთან გატოლებული სახელმწიფო სააგენტოების მაღალი თანამდებობის პირები, სამეთვალყურეო საბჭოების წევრები, ასევე კერძო სექტორში დასაქმებული მაღალი რანგის მენეჯერები არიან. არადა, ერთიცაა: ქვეყნის მოსახლეობის ზუსტი ოდენობა, მართალია, ახლად დანეშებული საყოველთაო აღწერის მონაცემთა გამოქვეყნებამდე არ გვეცოდინება, მაგრამ, მიახლოებით, ძველი მონაცემებით თუ ვიხელმძღვანელებთ, „ცოტათი მდიდართა“ რიცხოვნობა საქართველოში 6 პროცენტს მაინც ვერ აჭარბებს.

და კიდევ ერთი: ოფიციალური სტატისტიკის მიერ დასაქმებულად აღიარებული 658 ათასი კაციდან 470 ათასი სიღარიბის ზღვარზე იმყოფება — ამას თავად მთავრობა აღიარებს, როცა მთელი წლის მანძილზე დაუბეგრავ მინიმუმს უკან უბრუნებს — ასე იყო წელს, ასე იქნება გაისადაც. ყოველ შემთხვევაში, ეს მინიმუმი წლეულს სწორედ ამდენმა პირმა მიიღო. ამაზე, აბა, განა რა კომენტარის გაკეთება შეიძლება ისეთის, რაც ადრე არ გვითქვამს?!

ოთარ ტურაბელიძე

SIC!

პროკურატურის მორიგი საშიშნე თბილისის გამგეობები გახდა

2014 წლის თბილისის დღესასწაული თბილისის მერიისთვის, შესაძლოა, საბედისწერო აღმოჩნდეს. სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება, მითვისება-გაფლანგვა — სწორედ ამ მიმართულებით, მთავარი პროკურატურა თბილისის დღესასწაულთან დაკავშირებით განხორციელებული შესყიდვის კანონიერებას სწავლობს. გამოძიება სსკ-ის 332-ე მუხლის პირველი ნაწილი და 182-ე მუხლის მეორე ნაწილით მიმდინარეობს. საგამოძიებო უწყებაში აცხადებენ, რომ მერია გამოძიებასთან აქტიურად თანამშრომლობს, რის ფარგლებშიც მოხდება მერიის მიერ გადმოგზავნილი დოკუმენტაციის შესწავლა.

მერიაში განმარტავენ, რომ ვინაიდან საზოგადოებაში გაჩნდა კითხვები თბილისის დღესასწაულთან დაკავშირებით განხორციელებულ შესყიდვებზე, თბილისის მერია გამოძიებას მიანოდებს სრულ დოკუმენტაციას, რისი მოგროვების პროცესიც მიმდინარეობს და აპირებს მჭიდრო თანამშრომლობის გაგრძელებას გამოძიებასთან სიმართლის დასადგენად.

როგორც ირკვევა, ფინანსური ხარჯვების შესახებ დოკუმენტაცია, მთავარმა პროკურატურამ გამოვიდა და უკვე გამოითხოვა. ასევე ცნობილია, რომ რაიონებში „თბილისისთვის“ დახარჯული საბიუჯეტო თანხების ხარჯვის კანონიერებას საკრებულოს სარეზერვო კომისია სწავლობს. როგორც კომისიის თავმჯდომარე ნუგზარ მალაღურაძე აცხადებს, დოკუმენტალური შემოწმების შედეგად გაირკვევა გამგეობების მხრიდან კონკრეტულად ვისზე იქნა ხელშეკრულებები გაფორმებული. რევიზია ასევე სწავლობს დოკუმენტების იმ ნაწილს, რომლის მიხედვითაც დადგინდება, შესრულდა თუ არა გამგეობების მიერ „თბილისის“ დღესასწაულთან დაკავშირებით გაფორმებული ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ვალდებულებები.

„დოკუმენტალური შემოწმება მოიცავს კონკრეტულად ვისზე იქნა ხელშეკრულება გაფორმებული, შესაბამისობაში არის თუ არა თანხები განუხადებელი მომსახურებასთან. არსებობს თუ არა მიღება-ჩაბარების აქტი, შესრულდა თუ არა კონკრეტულად ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები“, — აცხადებს ნუგზარ მალაღურაძე.

გავრცელებული ინფორმაციით, „თბილისის“ დღესასწაულზე, რაიონის ბიუჯეტიდან თანხების, ტენდერის გარეშე ხარჯვა გახდა გამოძიების დანაწილებების მიზეზი. ამ მიმართულებით კი, კითხვები არსებობს სამგორის გამგეობის მამუკა ჩოქურის საქმიანობასთან დაკავშირებით.

როგორც ცნობილია, „თბილისის“ დღესასწაულთან დაკავშირებით ჩოქურმა თანხები გადაურიცხა ფირმას, რომლის ხელმძღვანელი გივიკო რაზმაძე ჩოქურის მეუღლის საზოგადო სააგენტოს მოდელია და მან ფირმა თბილისისამდე რამდენიმე დღით ადრე დააარსა, შემდეგ კი გააუქმა. ჩოქურთან ერთად საბურთალოს გამგეობის ბექა მიქაუტაძის პასუხისმგებლობის საკითხზე საუბრობს საკრებულოს უმცირესობის წევრი ირაკლი აბესაძე. მისივე განცხადებით, სამგორისა და საბურთალოს გამგეობებში დარღვევები აშკარაა და ამას არანაირი შესწავლა არ სჭირდება. აბესაძე ამბობს, რომ საბურთალოს გამგეობა დაუკვეთა კლიბის გადაღება, კლიპი კი არავის უნახავს.

„ის, რომ დარღვევა სახეზეა, ამას არანაირი შესწავლა არ სჭირდება და ამ გამგეობების თანამდებობრივი პასუხისმგებლობის საკითხი უნდა დგებოდეს დღესვე. ვინაიდან, არავის არ უნდა ევალოს საკუთარი ოჯახის წევრებთან დაკავშირე-

ბულ ფირმებთან ასეთ გარიგებებში შესვლა. ვსაუბრობთ სამგორის გამგეობებზე, ვსაუბრობთ საბურთალოს გამგეობებზე, რომელმაც დაუკვეთა კლიპის გადაღება, გადაიხადა ფული და კლიპი არავის უნახავს“, — განაცხადა ირაკლი აბესაძემ.

თბილისის ვიცე-მერის ალექსანდრე მარგიშვილის განცხადებით, „თბილისის“ დღესასწაულთან დაკავშირებული შესყიდვის საქმეზე, თუკი ვინმეს ბრალეულობა გამოიკვეთა, მისი პასუხისმგებლობის საკითხი დადგება. მისი თქმით, „თბილისობასთან“ დაკავშირებული ხარჯების შესწავლის თხოვნით პროკურატურაში დოკუმენტაცია მერიამ გადაგზავნა.

„პროკურატურას თბილისის აღნიშნულთან დაკავშირებული ხარჯების შესწავლა ვთხოვეთ, გადაგზავნეთ დოკუმენტაცია და პროკურატურაში დაიწყეს შესწავლა. მინდა, გითხრათ, რომ დარღვევა არ არის, მაგრამ ჩვენი მიდგომა, რომ როდესაც საზოგადოებაში ჩნდება კითხვები, არ დავტოვებთ ეს კითხვები უპასუხოდ და არსებობდეს კვალიფიციური პასუხები. თუკი ვინმეს ბრალეულობის საკითხი გამოიკვეთა, დადგება მისი პასუხისმგებლობის საკითხი“, — განაცხადა ალექსანდრე მარგიშვილმა.

„გამარტივებული შესყიდვისთვის სად პოულობენ ამ ორგანიზაციებს, ვისთან დებენ ხელშეკრულებას, ეს უნდა გახდეს გამოძიების საგანი, რადგან გამარტივებული შესყიდვები უკვე გახდა კორუფციის წყარო. როგორც ირკვევა, მთავარია, პირადი ნაცნობობა. სამგორის შემთხვევაში აღმოჩნდა, რომ გამგეობის მეუღლის ბიზნესპარტნიორთან დადეს ხელშეკრულება და გადაუხადეს თანხა. ეს ეწინააღმდეგება კანონს.

ასევე, ტენდენციად იქცა ახალდაარსებულ კომპანიებთან ხელშეკრულების დადების ფაქტები. ბუნებრივად ისმის კითხვა, ეს კომპანია თუ არსებობდა და მე თუ ტენდერი გამოვაცხადებ, ტენდერში რატომ არ შეიშლება განაცხადი? ხელმოწერად შლიან ტენდერებს და პირდაპირი შესყიდვით სასურველ კომპანიასთან დებენ ხელშეკრულებას. ძალიან დიდი თანხები არის არამიზნობრივად დახარჯული“, — აცხადებს სევიდა უგრეხელიძე.

თბილისის საკრებულოს დამოუკიდებელი დეპუტატის ალექსანდრე ელისაშვილის განცხადებით, სულ უფრო ხშირად ვრცელდებოდა ინფორმაცია იმასთან დაკავშირებით, რომ გამგეობებში საბიუჯეტო თანხებში ხელს აფათურებენ და არასწორი გადარიცხვები ხორციელდებოდა.

„მეჩვენება, რომ ბოლო დროს ძალიან მოეშვა ხელისუფლება და მე მეჩვენება, რომ კორუფცია თანდათან ფეხს იდგამს. მე არ ვარ ოპერატიული მუშაკი, მაგრამ ხანდახან, ეს ყველაფერი პირდაპირ ხელისგულზეა. მაქვს განცდა, რომ სადაც ბიუჯეტში ხელის ფათური დაიწყეს და კონტროლი და მეთვალყურეობა მოაკლდათ.

თუ პროკურატურა და სხვა საგამოძიებო სტრუქტურები მერიის და გამგეობების გადარიცხვა-გადმორიცხვებს ამონებენ, ამას ერთმნიშვნელოვნად მივესალმები. ბევრს გაუჩნდა განცდა, რომ ახლა მათი დრო მოვიდა და მათთვის ფულის კეთების ასპარეზია. თუ მაკონტროლებლები შევიდნენ, ძალიან კარგია.

მივესალმები, რომ ყველა გამგეობა, მერიის ყველა სამსახური შეამოწმონ. ძალიან ბევრი კითხვა მიჩნდება ბოლო დროს ამ ტენდერებთან დაკავშირებით. საკრებულოც სულ ფორსმაჟორებში ამტკიცებს ყველა შესყიდვებს, ტენდერებსაც არ აცხადებენ. ვისაც ამ საკითხის გარკვევა ევალება, მან კეთილი ინებოს და ამ ხალხს მკაცრად აგებინოს პასუხი“, — თქვა ალექსანდრე ელისაშვილმა.

თამთა ძარჩავა

ჰოზიცია

პოლიტიკიდან ბიძინა ივანიშვილის ნაჩქარევად წასვლის შემდეგ კრიზისული სიტუაცია რამდენჯერმე შეიქმნა. ყოველ ასეთ ჯგუფზე ერთგვარ პანაცეად ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში დაბრუნება სახელდება...

გადასახეხად გაეზადებულთ პოლიტიკორექტორების დრო არ გვაქვს!

რითი ხსენი აქსეპტი თავის ამ დასკვნას?



კითხვა, წარმატებული ბიზნესმენი ხომ არ მოიკოჭლებს პოლიტიკურ მენეჯმენტში? რატომ ვერ ასრულებს მსუბუქი თერაპიის ფუნქციას ის სამთავრობო ცვლილება...

პოლიტიკოლოგი ჯუმბერ კირვალიძე კრიზისული სირთულეების დაძლევის ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში დაბრუნებაში ხედავს. ის აცხადებს, რომ ყოფილმა პრემიერმა თავისი „მოკლული ძალი“ თავადვე უნდა გადაათრიოს...

ექსპერტი ვახტანგ მისიაია For.ge-სთან საუბარში აცხადებს, რომ ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში დაბრუნება აუცილებელია. მეტიც, მას უნდა მიეყვანა რეფორმები ბოლომდე და მხოლოდ ამის შემდეგ წასულიყო პოლიტიკიდან...

მოიკოჭლებს თუ არა ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკურ მენეჯმენტში, ამის შესახებ ვახტანგ მისიაია აცხადებს, რომ ივანიშვილი კარგი მენეჯერია ბიზნესკორპორაციული მიმართულებით. თუმცა, იგი პოლიტიკაში ბოლომდე არ ფლობდა ყველა პოლიტიკურ ნიუანსს...

„თუ ბატონი ბიძინა დაბრუნდება პოლიტიკაში და თავის თავზე აიღებს მმართველობას, მაშინ ირაკლი ღარიბაშვილი უნდა გადადგეს და ივანიშვილმა დაიკავოს პრემიერის პოსტი, რადგან ამ გუნდმა ბევრი შეცდომა დაუშვა. არის მომენტები, როცა ფორმალურ და სამართლებრივ მხარეს არ უნდა მივსვით. ჩვენთან არ არის ის გარემოება, როცა სამართალი და იურიდიული ლეგალური სფერო დომინანტობს პოლიტიკურ სფეროზე, აქ პირიქითაა, პოლიტიკა დომინანტობს სამართალზე.“

როცა ასეთი პირობებია, ყველა ფორმალური და არა-

ფორმალური საშუალება უნდა გამოვიყენოთ, რომ სიტუაცია გამოვასწოროთ. ჩვენ ვართ გადაჩვევის პირას, კლდის პირას ვდგავართ და ცერემონიალის და პოლიტიკორექტულობის დრო არ გვაქვს. ჩვენ გვაქვს ცუდი მაგალითი, როცა გაურკვეველ ვითარებაში ზურაბ ჟვანიას დაღუპვამ შეაფერხა რეფორმები, რომელიც დაინერგო ტრიუმფირაბში. ამიტომაც მივიღეთ სააკაშვილის ავტორიტარიზმი“ - აღნიშნა ვახტანგ მისიაიამ.

პოლიტიკოლოგი ვახტანგ ძაბირაძე For.ge-სთან საუბარში აცხადებს, რომ ბიძინა ივანიშვილი თუ აპირებს პოლიტიკაში დაბრუნებას, უნდა დაბრუნდეს კიდევ, რადგან სიტუაცია კიდევ უფრო დაძვინდებდა. პოლიტიკოლოგის აზრით, ყველაზე კარგი ვარიანტი მის დასაბრუნებლად იქნება არა მთავრობისთვის უნდობლობის გამოცხადება, არამედ ახალი საპარლამენტო არჩევნები და შემდეგ უკვე გადაადგილებების განხორციელება.

„ვერ ვიტყვი, რომ დღევანდელი პარლამენტი მოწოდების სიმძლავრეა, ან საზოგადოების განწყობას ასახავს. როგორც სოციალური, ისე ეკონომიკური და პოლიტიკური სიტუაცია ნელ-ნელა მიმდებარა. ბატონი ბიძინა როცა მიდიოდა პოლიტიკიდან, მაშინვე გავაკეთე კომენტარი, რომ პრემიერ-მინისტრობიდან მისი გადადგომა ცუდი იქნებოდა, ვერც პოლიტიკას შემატებდა რამეს, ვერც - სამოქალაქო საზოგადოებას. სამწუხაროდ, ეს ახდა. აღმასრულებელი ხელისუფლება საკმაოდ უეგრეხიდა. ამიტომ ივანიშვილი თუ დაბრუნდება, ეს სწრაფად უნდა მოხდეს. გაზაფხულამდე მას აქვს იმდენი პოლიტიკური დივიდენდი, რომ განახორციელოს მთავრობის ეფექტური მართვა. სიტუაცია საკმაოდ სწრაფად იცვლება და შემოდომისთვის ეს პროცესი დაგვიანებული მგონია.“

ივანიშვილმა საკმაოდ სწორი პოლიტიკური ნაბიჯები გადადგა, როგორც კოალიციის დაკომპლექტების, ისე მთელი საარჩევნო პერიოდის განმავლობაში. რაც შეეხება შემდგომ ვითარებას, ცოტა არაორდინარული ვითარება შეიქმნა საქართველოში. მართალია, ნაცმოძრაობა დაამარცხდა, მაგრამ პოლიტიკური ასპარეზიდან არ წასულა. თავის დროზე, გადატრიალების შედეგად „მრგვალი მაგიდა“

გაქრა ასპარეზიდან, შემდეგ იგივე დაემართა მოქალაქეთა კავშირს, მაგრამ ამ შემთხვევაში, ნაცმოძრაობა დარჩა. ეს არ არის იმის ბრალი, რომ ნაცმოძრაობა მაგარი, უბრალოდ, თუკი სააკაშვილის მსგავს მეთოდებს გამოიყენებდა ივანიშვილი, ნაცმოძრაობა ძალიან სწრაფად გაქრებოდა ასპარეზიდან. აქ პრობლემა ის არის, რომ ივანიშვილმა და ახალმა გუნდმა გადაწყვიტა, სხვაგვარად ეთამაშა. გნებავთ, კოაბიტაცია დაარქვით ამას, გნებავთ, არა - იძულებით იყო ეს თამაში თუ მათი ნებით, ნაცმოძრაობა ისევე პოლიტიკურ ასპარეზზე. პერსონების შეცვლა ქვეყანას არ შეცვლის, რადგან იმდენად სისტემური ცვლილებებია საჭირო. ორი წლის განმავლობაში ეს უნდა გაკეთებულიყო. ხელისუფლებამ ეს დრო არ გამოიყენა. ამიტომ ვამბობ, რომ აუცილებელია ვადაძვინდელი საპარლამენტო არჩევნები, თორემ ისევ წრეზე ვიტრიალებთ“ - აცხადებს ვახტანგ ძაბირაძე.

საპარლამენტო უმცირესობის წევრი დავით დარჩიაშვილი პოლიტიკაში ბიძინა ივანიშვილის დაბრუნებაში გამოსავალს ვერ ხედავს. For.ge-სთან საუბარში ის აცხადებს, რომ მართალია, კულუარულად მართვას გახსნილად მართვა ჯობს, მაგრამ ამ ადამიანის მიერ მართული ქვეყანა ჩვენ ვნახეთ და ივანიშვილის დაბრუნებას ნაციონალები მხარს არ დაუჭერენ.

ბანანა ნოზაძე

ალიანსალიანი

ახეპურებიან თიბილოვის დისტრუქციულ განსხვავებას

ჩვენ არაერთხელ ვთქვით, რომ მოსალოდნელი იყო აფხაზეთის მსგავსი ხელშეკრულების გაფორმება ცხინვალსა და მოსკოვს შორის, - ამის შესახებ საგარეო საქმეთა სამინისტროს სპიკერმა დავით კერესელიძემ განაცხადა. მისი თქმით, ცხინვალსა და მოსკოვს შორის შესაძლო ხელშეკრულების გაფორმებასთან დაკავშირებით დაწყებულია საერთაშორისო საზოგადოების საქმის კურსში ჩაყენება.

რა თქმა უნდა, თიბილოვის განცხადება არის შემაფოთებული და საფრთხის შემცველი. ჩვენ მხოლოდ ერთი რამ შეგვიძლია ვთქვათ, რომ უკვე დაწყებულია ამაზე მუშაობა ჩვენს პარტნიორებთან. ის, რომ მოსალოდნელია და აფხაზეთის მსგავსი ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს მოსკოვსა და ცხინვალს შორის, ამაზე საუბარი უკვე მიმდინარეობს ჩვენს მეგობრებთან და ყველა ინფორმირებულია. კიდევ ერთხელ ვაფიქსირებთ იმას, რომ ეს არის დესტრუქციული განცხადება, როგორც ცხინვალის დე ფაქტო ხელისუფლების მხრიდან, ასევე რუსეთიდან, - განაცხადა საგარეო საქმეთა სამინისტროს სპიკერმა. მისივე განცხადებით, საქართველოს რჩება მხოლოდ ერთი ბერკეტი, ის, რომ მოლაპარაკებების შედეგად მოხდეს საერთაშორისო საზოგადოების ყურადღების მიქცევა.

„ქმედითი ბერკეტი არის ისევ მოლაპარაკებები და განგაშის ატეხვა, რომ მოვითხოვთ საერთაშორისო მხარდაჭერა“, - განაცხადა კერესელიძემ.

საკვალკიკვი

მინისტრი „შუა ქალაქში“

მრავალმხრივი ნიჭით ყოფილა დაჯილდოებული ალექსანდრე კვიციანი. დიდებული ითამაშა ჯანმრთელობის მინისტრის როლი ფილმ - „შუა ქალაქში“. იმეფია, უკრაინელები ფილმსაც გადაიღებენ, ათამაშებენ მინისტრის როლს. თან მოადგილედ შესანიშნავი ეყოლება ტატიშვილის სახით.

ის შემდგომ შეიძლება უნივერსიტეტის რექტორადაც დანიშნონ თუ უკრაინაში ვერ განახორციელა საქართველოში ჩატარებული „წარმატებული“ რეფორმები. აბა, რა ვიცი. Чем Бог не шутит.

მხოლოდ „დემოკრატია“ არ კმარა?

თავისუფალ დემოკრატიამო, ყოველთვის გაუგებრობას იწვევდა თქვენი პარტიის სახელწოდება - „თავისუფალი დემოკრატია“. ნუთუ თავად სიტყვა „დემოკრატია“ საკმარისი არ არის? თუ თქვენ ბოლომდე არ გესმით ამ ცნების მნიშვნელობა? „დემოკრატია“ ცნებაში უპირველესად სწორედ თავისუფლება იგულისხმება, და ერთი: რატომ შეიცვალა თქვენი ლექსიკა ნაცების ლექსიკით? ნუთუ ამონურთ თქვენი ინტელექტუალური შესაძლებლობანი? და თუ ეს ასეა, ერთობ სამწუხაროა...

ლონდა ვიციანი

კაკალ გულში

ნეხციროვანი თქაზები

- „ოცნებაზე“ ისე დამეშინა, მასწავლებელს რო ტუალეტში წაუსწრებ.
- ტელევიზია ხომ ერთგვარი სარკეა ქვეყნისა? მოდით, დღევანდელ სარკეში ჩაიხედეთ: ოთო კახიძე, უჩა ნანუაშვილი, რიჩარდ ნორლანდი, სიაი, ალექსანდრე მარტიშვილი, ზურაბ ჯაფარიძე, დავით დარჩიაშვილი, სერგო რატიანი, ვახუშტი მენაბდე, ზურაბ ჭიაბერაშვილი, გოგა ხაჩიძე, ნუგზარ წიკლაური...
- მერე, ქვეყანა ეს თუ „სიცილის ოთახი“?
- წარმოიდგინეთ თქვენი თავები ხელისუფალთა ადგილას, მუდმივი კრიტიკის ქარცეცხლში მოქცეულების, როცა იციან ის, რომ მათი მაკრიტიკებელი, მხოლოდ ანგარებით, ან მათი დამფინანსებლების დავალებით მოქმედებენ, ბოროტად და ჩასაფრებულად, ერთი სული აქვთ, რომ როგორმე კისერი მოამტვრიონ მათ და კვლავ მობრუნდეს ის კოლიტი, რომელიც ძლივს მოვიცილეთ 2012-ში. ასეთ დროს, როგორც დაჭრილი ირმების გუნდს წყარო ანაწარა, ისე ჭირდებოდა, სიყვარული მაგინებელი ადამიანები ნუ დაიზარებთ, აკრიტიკეთ სამართლიანად, ამით მხოლოდ მათ ნისქვილზე მიუშვებთ წყალს, ვინაიდან იმათ ნისქვილს წყალი არ აბრუნებს, მხოლოდ ნესვი, რომელიც სიყვარულით კრიტიკისას არ გამოიყოფა!
- ძალიან ნიშანდობლივია, რომ იმ ქვეყნებში, სადაც არ მინდის მუდმივი ძიება, ნაციონალური იდეის, ერის სულიერი მისის, ეროვნული გაბრწყინებაზე ჩაღიშის, ყველაზე მშვიდი და წყნარი გაგრძობა, მაგალითად, კანადა, ავსტრალია, ახალი ზელანდია...
- ამ ქვეყანაში სამართალი სულ მშვიერი როგორაა, მიეცით პური ვინმე.
- სპექტაკლ „ჭინჭრაქაძან“ გამახსენდა სიმღერა, მაგარი აქტუალურია, აი: მალა ცაში ავფრინდები, ვაი ვაი, ავფრინდები, ავფრინდები, ვაი ვაი.
- კრემლიკზე სახალწლო ქალები უკვე დაიკიდეს?
- სახალწლო აქცია PARADISE-სგან: დაკრძალვის მაგივრად ახალი წელი განვაღებთ...
- უილიამ უოლსი და გიორგი სააკაძე პოროშენკოს გადაწყვეტილებას სტრასბურგში გაასაჩივრებენ...

ამოკრება  
ბია ბაბრიძეძე

# ვის უნდოდა სტალინის ბატასება?

რა გაიგო „არგუმენტი ი ფაქტის“ სპეციალურმა კორესპონდენტმა ირანში



1943 წლის ნოემბერში „დიდი თეატრი“ – ი.სტალინი, თ.როზველტი და უ.ჩერჩილი – „ჩასურდა“ თეირანში.

1943 წლის 28 ნოემბრიდან 1 დეკემბრამდე ირანის დედაქალაქში გაიმართა „დიდი სამეულის“ – სსრ კავშირის, დიდი ბრიტანეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების ხელმძღვანელების – „სამიტი“, რომლებმაც ევროპის ომის შემდგომი მოწყობა განიხილეს. და, მართალია, კონფერენცია დიდი საიდუმლოებით მზადდებოდა, გერმანელებმა მის შესახებ უკვე ოქტომბრის შუა რიცხვებში გაიგეს. ინფორმაცია „დიდი თეატრის“ შესახებ, რომელიც თეირანში მიტურავადა, გადასცა ალბანელმა ელიას ბაზნამ – ნაცისტმა აგენტმა ციცირონმა, თურქეთში ბრიტანეთის საელჩოში ელჩის კამერდინერმა. იმპერიის უშიშროების მთავარი სამმართველოს უფროსმა ერნსტ კალტენბრუნერმა სასწრაფოდ წარუდგინა პიტლერს სტალინის, როზველტისა და ჩერჩილის განადგურების შავად დაწერილი გეგმა და მიიღო სრული მხარდაჭერა. მისი კოდური სახელწოდებით „გრძელი ნახტომი“, ესეის სპეცდანიშნულების რაზმის ხელმძღვანელს ოტო სკორცენს დაავალეს. ნაცისტების ოპერაცია ჩავარდა, მაგრამ დაწვრილებითი ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ მოახერხეს გადაერჩინათ ანტიპიტლერული კოალიციის ხელმძღვანელები, დღემდე გასაიდუმლოებულია. „არგუმენტი ი ფაქტის“ მიმომხილველი თეირანიდან გადმოგვცემს ირანში ნაცისტური და საბჭოთა სპეცსამსახურების საიდუმლო დაპირისპირების უცნობ დეტალებს.

## რატომ აკეთებდნენ მინისკვება სკრეპლას სულაპიდან?

მრავალი საბჭოთა (ამჟამად რუსეთის) საელჩო თეირანში – არსებითად ქალაქი ქალაქის შუაგულში. 11 პეტარ ტერიტორიაზე იყო პარკი, სასტუმრო, საცხოვრებელი სათავსოები დიპლომატებისთვის და სანარმოზადგენლო კომპლექსი – სწორედ იქ განიხილავდნენ სტალინი, როზველტი და ჩერჩილი გერმანიის დაყოფას. პირველი გეგმა, რომელიც თეირანში გერმანიის აგენტურამ შესთავაზა, იყო – შეედნით სსრ კავშირის საელჩოში სომხური სასაფლაოს მხრიდან, გაეკეთებინათ მინისკვება სერელები... სასაფლაოს შიგნიდან, შემდეგ ამ გვირაბიდან გაეგზავნათ დივერსანტები. სასაფლაოზე გერმანელებთან მუშაობდა თავისი აგენტი – შტურბმანფიურერი ფრანც მაიერი, რომელიც სპეციალურად მოეწყო მესაფლავედ, – ესეის ოფიცერი, რომელსაც გაკეთებული ჰქონდა მოხუცი სომხის გრიმი (!) შედეგილი წვერით! მაგრამ მალე მაიერი ტყვედ აიყვანა საბჭოთა დაზვერვამ და ბერლინში მინისკვება თხრილის იდგაზე უარი თქვეს.

– სრული დოსიე თეირანის კონფერენციის შესახებ გაიშვირება მხოლოდ ასი წლის შემდეგ! – ამტკიცებს ისტორიკოსი, თარჯიმანი ახმად სარემი. – თუმცა, უკვე ახლა, ირანის არქივებში საიდუმლოებამოსხნილი დოკუმენტების თანახმად, შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა: გერმანელების პირველხარისხოვანი ამოცანა იყო: გაეტაცათ, და არ დაეხოცათ „დიდი სამეულის“ მონაწილეები. კალტენბრუნერის აზრით, სტალინის, როზველტისა და ჩერჩილის ლიკვიდაცია ვერ შეიძლება იქნებოდა ომს. აი შოკს კი ანტიპიტლერული კოალიციის ქვეყნების მოსახლეობაში, რომელსაც აცნობებდნენ მათი ლიდერების გერმანელთა ტყვეობაში ყოფნის შესახებ, ეს გამოიწვევდა განგაშსა და ქაოსს ფრონტზე. ამაზე იყვნენ სწორედ ორიენტირებული ესეივლი დივერსანტები თეირანში.

როგორც ირანის გაზეთი „ხაბარი“ მიუთითებს, „აპირებდნენ სტალინი თურქეთის გაკლთი წაეყვანათ ბერლინში და იქ ეჭვებინათ გალიაში“. როზველტთან და-



ოტო სკორცენი და აგენტი სიხარონი.

კავშირებით რაიხსკანცელარიაში პოზიციები გაიყო: ზოგიერთებს მიაჩნდათ, რომ აქტულებინათ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი გაეცა ბრძანება კაპიტულაციის შესახებ, სხვები მოითხოვდნენ – მოეწყოთ განსაკუთრებული სიძაგის სიკვდილით დასჯა (კალტენბრუნერი სთავაზობდა – როზველტი შეეჭმევიებინათ ზვიგენისთვის (!) და ეს ჩაენერათ კინოფირზე). ჩერჩილთან დაკავშირებით აზრთა სხვადასხვაობა არ ყოფილა – აპირებდნენ, იგი ადგილზევე მოეკლათ.

## რითი ჩამოვიდნენ ესეივლები?

სსრ კავშირის ხელისუფლება საშიშროებას სერიოზულად მოეკიდა. თეირანში გადაისროლეს შინაგარეშის 3000 (!) თანამშრომელი, რომლებიც იცავდნენ ყველა ადგილს, სადაც ჩნდებოდნენ „დიდი სამეულის“ ლიდერები.

მოგვიანებით ბრიტანელი და ამერიკელი ისტორიკოსები გაოცებული იყვნენ: რატომ მოხდა, რომ ირანში 6500 (!) გერმანელი ჯაშუშის ყოფნის პირობებში, თავდასხმა ვერ განხორციელდა? ჯერ ერთი, გერმანული დაზვერვის ქსელი მთლიანად იქნა განადგურებული 43 წლის ნოემბრის დასაწყისში, როდესაც საბჭოთა სპეცსამსახურების ოპერაციის დროს აზვერის 400 აგენტი დააპატიმრეს. მეორედ, 22-27 ნოემბერს სსრ კავშირის დაზვერვამ დააკავა ესეივლ პარაშუტისტთა თოთხმეტი (!) ჯგუფი, რომლებიც ქალაქების კუმისა და კაზვინის რაიონებში გადაისროლეს რუდოლფ ფონ ჰოლტენ-პულგის (თეირანში გერმანელები გადმოვიდნენ სავაჭრო ქარავნის სახით აქლემებზე) და ვლასოვლი ვლადიმირ შკვარიოვის სარდლობით. მესამედ, მესამე რაიხის ბიუროკრატია „გრძელი ნახტომის“ ჩაშლაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა. იყო ძალიან ბევრი წინადადება, რომლებიც კონკურენცი-

აში მოდიოდნენ ერთმანეთთან (თავად სკორცენი სთავაზობდა გამოერიცხათ გატაცება და უბრალოდ დაეხოცათ „დიდი სამეული“, სსრ კავშირის საელჩოში გაეგზავნათ ასაფეთქებელი ნივთიერებებით გადაჭედული თვითმფრინავი თვითმკვლეელი პილოტით). ბევრ გეგმას უარყოფდნენ, განიხილავდნენ, ხდებოდა მათი გადაკეთება – და შედეგად გერმანული აგენტურის დაპატიმრებამ ყველაფერს წერტილი დაუსვა.

## სადა მოითავაობდა დოლარები?

– თუ ნაცისტი აგენტების დაკითხვის მონაცემებს ვენდობით, 29 ნოემბერს ისინი აპირებდნენ თეირანში მასობრივი უწესრიგობები მოეწყოთ და მათი საფარით თავს დასხმოდნენ და გაეტაცებინათ „დიდი სამეულის“ კორტეჟი, – გვიამბობს ისტორიის პროფესორი მეშხედ მუსაფი. – ისპაჰანში ესეივლთა ოფიცერი შიუნემანი მოლაპარაკებას აწარმოებდა კაშკაის ტომების ბელადებთან: მათი რაზმები უნდა ჩამოსულიყვნენ ირანის დედაქალაქში და თავს დასხმოდნენ მთავრობის შენობებს, გამოეწვიათ ქაოსი. გეგმები ბანალური მიზნით ჩაიშალა – ბერლინიდან დოლარები არ შემოვიდა, ბელადები კი შეტევას წინასწარი გადახდის გარეშე არ აპირებდნენ.

1943 წლის 30 ნოემბერს ბრიტანელებმა ჰოლტენ-პულგის ჯგუფი დააპატიმრეს, 2 დეკემბერს კი ექვსი პარაშუტისტი დააკავეს – უკანასკნელები იმათგან, ვინც თეირანში გაიგზავნა „დიდი სამეულის“ მოსატაცებლად. მთავარი როლი ესეივლთა გეგმების ჩაშლაში სსრ კავშირის დაზვერვამ შეასრულა, და განსაკუთრებით მისმა რეზიდენტმა ირანში 19 წლის (!) გეგორქ ვართანინამ, – მისი წყალობით მოხდა მტრის ასობით აგენტის ნეიტრალიზება, მათ შორის, შკვარიოვის ჯგუფისაც. თავდაპირველად კი გერმანელებს ეჭვიც არ ეპარებოდათ თავისი ღონისძიების განხორციელებაში. გერმანიის საჯაშუშო ქსელმა მოიცვა მთელი ირანი, ნაცისტებმა თავიანთი აგენტები ჩათესეს 50 სამინისტროსა და არმიაში, მათ შორის, გადაიბირეს დივიზიების მეთაურებიც. მიუხედავად მთელი ძალისხმევისა, „გრძელი ნახტომი“ ჩაიფუშა. ყველაზე ნათელ სურათს მოეცა სასაფლაოს დაპირისპირების შესახებ, ჩვენ მივიღებთ, უკეთეს შემთხვევაში, 2043 წელს, როდესაც რუსეთის, ამერიკისა და ბრიტანეთის არქივებში საიდუმლოების გრიფს მოხსნიან ყველა დოკუმენტს, რომლებიც „თეირან-43“-ს შეეხება. თუ, რასაკვირველია, მათ მართლა მოხსნიან საიდუმლოების გრიფს.

## სხვათა შორის

რუმორ აწყო იმათი ბედი, ვინც ჩაბმული იყო თეირანში 1943 წლის ნოემბრის მოვლენებში? ესეის შტურბმანფიურერი ფრანც მაიერი (სომხური სასაფლაო) გადასცეს ინგლისელებს, გადაგზავნეს ინდოეთში და შემდეგ უგზო-უკვლოდ გაქრა.

„დიდი სამეულის“ შეხვედრის შესახებ ნაცისტებისთვის ინფორმაციის გამამაჟღავნებელმა აგენტმა ციცირონმა ჰონორარი მიიღო ყალბ ბრიტანულ გირვანქებში და სიკვდილამდე – 1971 წ. – უნაყოფოდ უჩიოდა ამასთან დაკავშირებით სასამართლოში გერმანიის მთავრობას. ერნსტ კალტენბრუნერი, რომელმაც „გრძელი ნახტომის“ გეგმა დაამუშავა, 1946 წელს ნიურნბერგში ჩამოახრჩვეს. საბჭოთა მზვერავი გეგორქ ვართანინი 43 (!) წელი მუშაობდა საფრანგეთში, გერმანიასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში, სპეციალიზებული იყო მოლვანეობაზე ნატოს წინააღმდეგ და არასოდეს ყოფილა დაპატიმრებული ან გამოაშკარავებული, მიაღწია პოლკოვნიკის ჩინს. გარდაიცვალა ამ ცოტა ხნის წინათ – 2012 წელს, მოსკოვში.

გაორგი ზოტოვი, თეირანი



შამის სასახლე, 1943 წ.

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

საბარტომეოს ექს-პრეზიდენტის მიხედვით სააკაშვილის მთავრობის წარმომადგენლებმა უკრაინის პრეზიდენტის პიოტრ პოროშენკოს კაბინეტში თანამდებობები მიიღეს. კერძოდ, ალექსანდრე კვიტაშვილი, რომელსაც 2008-დან 2010 წლამდე ეკავა საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის პოსტი, დაინიშნა უკრაინის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრად, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელის ყოფილი მოადგილე (2006-დან 2012 წლამდე) ეკატერინე ზლულაძე — უკრაინის შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე.

ამავე დროს, მიხედვით სააკაშვილის სიტყვებით, უკრაინის ეკონომიკის მინისტრის თანამდებობა უნდა დაეკავებინა ბიზნესმენი კახა ბენდუქიძე — ქართული

„ის ხალხი არაა“

საბარტომეოს ექს-ჩინოვანების დანაშაულები მალევე თანამდებობებზე უკრაინის მთავრობაში საქართველოში მმართველი კოალიციის მხრიდან ნეგატიური რეაქცია გამოიწვია. მისმა წარმომადგენლებმა კიევის გადაწყვეტილებას უწოდეს „შეცდომა“ და განაცხადეს, რომ „უკრაინელებმა აირჩიეს ადამიანები, რომლებსაც არაფრით არ გამოუჩინიათ თავი.“

მმართველმა პარტიამ ეჭვი გამოთქვა სააკაშვილის მთავრობის მიერ განხორციელებული რეფორმების წარმატებასთან დაკავშირებით ჯანმრთელობის დაცვისა და შინაგან საქმეთა სამინისტროებში, რომელთა წამყვან წარმომად-

განაში ოფიციალური ვიზიტით უნდა გაემგზავროს მომავალი წლის ზამთარში, ასევე თავისი ოპონენტების დანიშნავს გაუყვითა კომენტარები, გააკრიტიკა ისინი სახელმწიფოს მიღწევების „მითვისებაში“.

„ჩვენ მზად ვართ, გავაგზავნოთ უკრაინაში სხვადასხვა ჯგუფები და დელეგაციები, რათა ადგილზე დაეხმარონ უკრაინას რეფორმების განხორციელებაში და მიიღონ აქტიური მონაწილეობა ამ რეფორმების იმპლემენტაციაში. ის, რაც სახელმწიფოს ეკუთვნის — ეს არის სახელმწიფოს ექსკლუზივი, და ეს არ ეკუთვნის არც ერთ ყოფილ მაღალი რანგის ჩინოვნიკს. მინდა, იმათ შევხსენო, რომ მეტი პასუხისმგებლობით მოეციდონ საკუთარ სახელმწიფოსა და ქვეყანას, როდესაც გაკეთებულ საქმეს თვითონ მიიწერენ“, — განაცხადა ლარიბაშვილმა 9 დეკემბერს ბრიფინგზე.

ამავე დროს, არასაპარლამენტო ოპოზიციური პარტია „დემოკრატიული მოძრაობა — ერთიანი საქართველოს“ ლიდერმა ნინო ბურჯანაძემ, რომელსაც სააკაშვილის პარტია პრორუსულ პოლიტიკასად მიიჩნევს, მოუწოდა მმართველ კოალიციას სიფრთხილისკენ, ვინაიდან, მისი სიტყვებით, როდესაც მონაწილეობენ უკრაინის პოლიტიკურ ცხოვრებაში, სააკაშვილის პარტიის წარმომადგენლები „ამზადდებიან პლაცდარმს იმისთვის, რომ დაბრუნდნენ საქართველოში“.

„მისაღებია უკრაინისთვის“

უკრაინის ჯანმრთელობის დაცვის ახალმა ხელმძღვანელმა ალექსანდრე კვიტაშვილმა, რომელსაც უკრაინის პრეზიდენტმა პიოტრ პოროშენკომ მინისტრის თანამდებობაზე დანიშნა, რამდენიმე საათით ადრე უკრაინის მოქალაქეობა მიანიჭა, გამოთქვა გაოცება საქართველოს ხელისუფლების კომენტარების გამო იმ რეფორმებთან დაკავშირებით, რომლებიც სააკაშვილის მთავრობის დროს განხორციელდა.

„საქართველოში ჩვენი პოლიტიკოსებისგან განსხვავებით, აქაურმა პოლიტიკოსებმა მიიჩნიეს, რომ საქართველოს რეფორმები წარმატებული იყო. ჩვენი რეფორმების ძალიან ბევრი კომპონენტი შეიძლება მისაღები იყოს უკრაინისთვის“, — განუცხადა კვიტაშვილმა საქართველოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს, აღნიშნა, რომ უკრაინის მთავარი პრობლემა არის ის, რომ იქ ჯერჯერობით არ არის დანერგული „საბჭოთა სისტემა“.

თავის მხრივ, საქართველოს უშიშროების საბჭოს ყოფილმა ხელმძღვანელმა გიგა ბოკერიამ გააკრიტიკა საქართველოს ხელისუფლება არა შორსმჭვრეტელობის გამო, ამასთანავე, აღნიშნა, რომ ქართველი მინისტრების დანიშვნა უკრაინაში გაზრდის ეფექტიანობას არა მხოლოდ ამ ქვეყნისა, არამედ განამტკიცებს საქართველოს პოზიციებსაც საერთაშორისო არენაზე.

„ყველა ადამიანმა სახელმწიფო და მოქალაქეობრივი შეგნებით, მიუხედავად თავისი პიროვნული დამოკიდებულებებისა, უნდა გაიგოს ეს. სამწუხაროდ, მთავრობაში ჩვენი სრულიად საპირისპირო სურათს ვხედავთ“, — განაცხადა ბოკერიამ.

უშიშროების საბჭოს ყოფილმა ხელმძღვანელმა ასევე ბრალი დასდო საქართველოს ამჟამინდელ ხელისუფლებას უკრაინის არასაკმარის მხარდაჭერაში რუსეთთან კონფლიქტში და განაცხადა, რომ „ქართულ ოცნებას“ მთელი ეს პერიოდი დისტანცია ჰქონდა ალბერტის უკრაინის ხელმძღვანელობასთან და არ ახორციელებდა ორმხრივ შეხვედრებს მინისტრების დონეზე. რაც შეეხება ლარიბაშვილის ვიზიტს უკრაინაში ზამთარში, ბოკერიას სიტყვებით, ეს განაპირობებდა საქართველოს ხელი-სუფლებამ მიიღო მხოლოდ იმ მიზეზით, რომ სააკაშვილის მინისტრები შევიდნენ უკრაინის მთავრობის შემადგენლობაში.

სააკაშვილის გუნდის წევრებზე უკრაინის მთავრობაში მოთხოვნა



რეფორმების არქიტექტორს, მისი მთავრობის წევრს, რომელიც ნოემბერში უდროოდ გარდაიცვალა. თავად სააკაშვილი ამტკიცებს, რომ მას სთავაზობდნენ უკრაინის ვიცე-პრემიერის თანამდებობას, მაგრამ მან უარი განაცხადა, ვინაიდან ასეთ შემთხვევაში ის საქართველოს მოქალაქეობას დაკარგავდა.

აღსანიშნავია, რომ ქართული კანონმდებლობით — სხვა სახელმწიფოს მოქალაქეობის მიღების შემთხვევაში ადამიანი ავტომატურად კარგავს საქართველოს მოქალაქეობას. ბიძინა ივანიშვილი, საქართველოს ექს-პრემიერი და სააკაშვილის ოპონენტი, რომლის კოალიციამაც „ქართულმა ოცნებამ“ 2012 წლის არჩევნებზე გაიმარჯვა სააკაშვილის პარტიაზე „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, თავისი წინამორბედის მართვის პერიოდში უნაყოფოდ ცდილობდა დაეხრებინა საქართველოს მოქალაქეობა, რომელიც დაკარგა საფრანგეთის მოქალაქეობის მიღების დროს.

შეგახსენებთ, რომ მიხედვით სააკაშვილზე საქართველოში გამოცხადებულია ძებნა უფლებამოსილებათა გადაჭარბებისა და სახელმწიფო სახსრების ხარჯვის ბრალდებით. როგორც 10 დეკემბერს მთავარი პროკურორის მოადგილემ ირაკლი შოთაძემ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს აცნობა, საქართველოს პროკურატურამ მიმართა ინტერპოლს შუამავლობით საქართველოს ექს-პრეზიდენტზე საერთაშორისო ძებნის გამოცხადების შესახებ. შოთაძის სიტყვებით, საქართველოს მხარის ჯერჯერობით პასუხი ინტერპოლიდან არ მიუღია.

აღსანიშნავია, რომ სააკაშვილის მთავრობის ზოგიერთი წარმომადგენელი, მათ შორის, შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრი, რომლის მოადგილედ ეკატერინე ზლულაძე იყო, უკვე მთელი რიგი ბრალდებებით არის დაპატიმრებული. სააკაშვილი და მისი მომხრეები აცხადებენ, რომ საქართველოს ამჟამინდელი ხელისუფლება ყოფილი ჩინოვნიკების სისხლის სამართლის დევნას პოლიტიკური მოტივებით აწარმოებს.

გენლებს დღეს საქართველოში ბრალს სდებენ ადამიანის უფლებათა მასობრივ დარღვევებში. ამასთან ერთად, აღსანიშნავია, რომ მთელი რიგი საერთაშორისო ორგანიზაციები სააკაშვილის დროს განხორციელებულ რეფორმებს პოლიციაში მიიჩნევენ მისი მთავრობის ერთ-ერთ ყველაზე დიდ მიღწევად.

ამავე დროს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა თამარ ბერუაშვილმა განაცხადა, რომ კიევის გადაწყვეტილება საქართველოს ყოფილ ექს-ჩინოვნიკებთან დაკავშირებით გავლენას არ მოახდენს საქართველო-უკრაინის ურთიერთობაზე და, რომ „სტრატეგიული პარტნიორობა ორ ქვეყანას შორის, განსაკუთრებით რეგიონში ახალი გამოწვევების ფონზე — ეს გაცილებით მეტია, ვიდრე ერთი ან ორი მინისტრის დანიშვნა“.

„აქ მისასაღებელი მართლაც არაფერია. მე პირადად არ მახსოვს რაიმე განსაკუთრებული წარმატებები იმ პერსონებისა, რომლებიც დაინიშნენ ამ პოსტებზე, მაგრამ ეს ნებისმიერი ქვეყნის სუვერენული უფლებაა — ჩამოაყალიბოს მთავრობის შემადგენლობა ისე, როგორც საჭიროდ მიიჩნევენ. ჩვენი ამოცანაა — ვიმუშაოთ მომავალზე, ჩვენი ამოცანაა — გავაძლიეროთ, გავამდიდროთ და გავააქტიუროთ საქართველო-უკრაინის ურთიერთობანი“, — განუცხადა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს.

მიუხედავად ამისა, ადრე „ქართული ოცნების“ ზოგიერთმა წარმომადგენელმა განაცხადა შესაძლო ნეგატიურ შედეგებზე ორ ქვეყანას შორის იმ შემთხვევაში, თუ თანამდებობებს უკრაინის მთავრობაში მიიღებენ ის პირები, რომელთა წინააღმდეგაც საქართველოში სისხლის სამართლის საქმეებია აღძრული. აღსანიშნავია, რომ საქართველოს სამართალდამცველებს ჯერჯერობით არ გასჩენიათ შეკითხვები კვიტაშვილთან და ზლულაძესთან დაკავშირებით.

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ლარიბაშვილმა, რომელიც უკ-

დადაინიშნა ზურაბი



კიევიმ განაცხადა, რომ მზადაა, გააგრძელოს სინჯვარის რეჟიმი დონბასში მისთვის შესაძლო მოლაპარაკების წინა პერიოდში.


ამჟამად დაპირისპირებული მხარეების შეხვედრის ბედი უცნობია, ვინაიდან წინა დღით გახდა ცნობილი „სკიპს“ მიხედვით ვიდუკონფერენციის გაუქმების შესახებ, რომლის დროსაც მისმა მონაწილეებმა უნდა განხილონ მშვიდობიანი მოწესრიგების საკვანძო საკითხები და მოილაპარაკონ თარიღის შესახებ. დონეცკის სახალხო რესპუბლიკაში კიევის ბრალი დასდეს მოლაპარაკების ჩაშლაში.

პორუხინკო სისოვს რუსეთის დამატოს სახლვარი: მშვიდობა გააბატონდება „სამი კვირის“ განმავლობაში



ამის შესახებ უკრაინის პრეზიდენტმა განაცხადა ავსტრალიაში ვიზიტის დროს, სადაც ამუშავებდა საკითხებს ქვეანაშირისა და ურანის მინოდების შესახებ ატომური ელექტროსადგურისთვის. ავსტრალიის პრემიერმა ტონი ებოტმა დაადასტურა მზადყოფნა — აღმოუჩინოს დახმარება.

ჩურიშვიმ-გარსიანიამ კომპეტის ფხალი განსხვავებული აღმოჩნდა დადაინიშნა ფხლისგან: უარყოფილია პრეზიდენტი პიპოტიზა



მეცნიერებმა განაცხადეს, რომ მძიმე წყალბადის წილი, ანუ დეიტერიუმი, წყლის ორთქლის შემადგენლობაში კომეტაზე მნიშვნელოვნად აჭარბებს მის წილს დედამიწის წყალზე. „ეს, ალბათ, გამოიწვევს იმ ფაქტს, რომ წყალი დედამიწაზე განსხვავებული ჩამოვარდნის შედეგად“, — განაცხადა შვეიცარიაში ბერნის უნივერსიტეტის თანამშრომელმა კეტრინ ალტენგამმა.

ამერიკის შიდათავსულ შტატებში გაიგეს რუსეთის ახალი რეჟიმის შესახებ, ამზადდება სანქციის და სამხედრო პასუხის შესახებ. პენტაგონის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ შტატების უფროსების კომიტეტმა შეფასა საფრთხე რუსეთის მიერ ფრთიანი რაკეტის დამუშავების გამო, რომელმაც უნდა იმოქმედოს საშუალო მანძილზე. სახელმწიფო დეპარტამენტში წარმომადგინეს პასუხის ვარიანტები: შესაძლებელი მოქმედებები „სამხედრო სფეროში“ და ეკონომიკური სანქციები.





### ახალი სიხა

სანკტ-პეტერბურში აშენებენ ევროპაში ყველაზე დიდ საპატიმროს „კრესტი-2“, რომელშიც პირველ პატიმრებს 2016 წელს განათავსებენ. უურნალობები და ექსპერტები კი ამოავითვე ვარაუდს გამოთქვამენ, რომ ახალი ციხის პირველი ბინადარნი, შესაძლოა, ისეთი „განსაკუთრებით მნიშვნელოვანი პირები“ გახდნენ, როგორებიც არიან რუსეთული „ობორონსერვისის“ ყოფილი ტოპ-მენეჯერი ვასილიევა, ექს-გუბერნატორი იურჩენკო და ოლიგარქი ევტუშენკოვი.

### სკაპლავის სიკეთე

ძალაბის სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა მამაკაცებისას რომ აღემატება, ეს, მსოფლიოს, ფაქტობრივად, ყველა ქვეყანაში სტატისტიკურად დადასტურებული ფაქტია. ამას რამდენიმე მიზეზი აქვს, მათ შორის, საკმაოდ ეგზოტიკურიც: ზოგიერთ მკვლევარს მიაჩნია, რომ ამ გარემოებას ის განაპირობებს, რომ ქალები მამაკაცებზე ნშირად ტირიან.

ფსიქოლოგთა ერთ ნაწილს მიაჩნია, რომ ამაში გარკვეული რაციონალური მარცვალია. საქმე ის არის, რომ ტირილი — ესაა ემოციური დაძაბულობის განმუხტვა, ერთგვარად, საკუთარი თავიდან სტრესის განდევნა. წყენის საკუთარ თავში შენახვა გამოუძღვრებულ დაძაბულობაში ყოფნას ნიშნავს. ორგანიზმი ცუდ აზრებზე მძაფრად რეაგირებს, წარმოიშვება დამანგრეველი ეფექტი. ტყუილად როდი ამბობენ, რომ ყველა სწეულების სათავე აშლილი ნერვებია, სტრესები. ტირილი კი დასრულებული პროცესია: ქალს აწყენინებს, გული ატკინებს, მან დარდი გამოიტირა და მორჩა, პრობლემა ამოიწურა. ამიტომ, ფსიქოლოგები ქალბატონებს ურჩევენ: თუკი საქმე მაინცდამაინც ტირილამდე მივიდა, უმჯობესია, თავს ნუ შეიკავებთ, იტირეთ და... დიდხანს იცოცხლეთ!

### ქილობანი-ბურთი

ჩინეთის ქალაქ იუს მკვიდრმა იან ძუნფუმ ახალი „ნოეს კიდობანი“ შექმნა, რომელიც 1,5 მილიონი იუნანი დაუფლდა.



გარეგნულად „კიდობანი“ პინგ-პონგის უზარმაზარ ბურთის ჰგავს, მისი დიამეტრი 4 მეტრია, საიმედო კედლები შიგნით მყოფებს ყოველგვარი სტიქიური უბედურებებისგან, ასევე რადიაციისგან საიმედოდ დაიცავენ. „კიდობანი“ შიგნით უსაფრთხოების სისტემით აღჭურვილი სავარტლები აქვს, ის ასევე თვალყურის დევნებისა და ვენტილაციის ავტონომიური სისტემებით, აგრეთვე ტელეფონითაა აღჭურვილი.

### მუსიკის მოსმენას ყაპის დაღვევა სჯობს

მკვლევარებმა დაადგინეს, რომ ავტომანქანის საჭესთან დიდი ხნის მანძილზე ყოფნით დაღლილობას ყველაზე უკეთ ყავა ხსნის.

აქამდე ითვლებოდა, რომ ძილთან ბრძოლის საუკეთესო საშუალებაა რიტმული მუსიკის მოსმენა. ბოლო გამოკვლევებით კი გაირკვა, რომ ბევრები მძღოლს ყურადღებას უფანტავს, კოფეინი კი უკეთესი კონცენტრაციის ხელშემწყობია. ერთი კია, რომ მისი მოქმედება მხოლოდ ორ საათს გრძელდება.

### ყველაფერს თავისი ღრმ აქვს

რეჟისორის დაცვა, თურმე, ქალბატონებს წერნეტა ტანის შენარჩუნებაში ეხმარება.

იმ მანდილოსნებს, ვინც ერთსა და იგივე დროს იძინებს და იღვიძებს, სისხლში ცხიმის ნაკლები ოდენობა აღენიშნებათ. ამ გარემოებას მკვლევარები იმით ხსნიან, რომ ძილის საკმარისი ხანგრძლივობა დადებითად მოქმედებს გუნება-განწყობაზე, აძლიერებს სტრესებისადმი მდგრადობას, აწესრიგებს მადასა და მიმოცვლით პროცესებს.

### ჩვენი მეგობარი... ნიორი

მედიკოსებმა დაადგინეს, რომ ნიორი ორგანიზმს არა მარტო გაციებისგან, არამედ... სტრესებისგანაც იცავს.

მასში დიდი ოდენობით მაგნიუმი, რომელიც ხელს უწყობს სტრესული მდგომარეობებით გამოწვეული უარყოფითი შედეგების დაძლევას. ამის გარდა, ნიორში ბევრია ალიცინი, რომელიც არა მარტო მძაფრ გემოსა და სუნზეა „პასუხისმგებელი“, არამედ ქსოვილებსა და შინაგან ორგანოებსაც იცავს.

## კოსმიური... პარალელაიკაი

სშირია შემთხვევები, როცა არქეოლოგიური გათხრების დროს მეცნიერები ისეთ უცნაურ საგნებს პოულობენ, რომელთა დანიშნულებაც გაუგებარია და მასალაც, რომლისგან ეს არტეფაქტებია დამზადებული, დედამიწაზე წარმოებული არ უნდა იყოს. ბუნებრივია, ზოგიერთი ასეთი საგანი, ასე ვთქვათ, ბუნების უცნაურობაა, მისი „ფოკუსია“, მაგრამ აშკარად არა ყველასი. იქნებ ეს საგნები არამიწიერი ცივილიზაციების ნახელებია?

ზოგიერთი მეცნიერი დარწმუნებულია, რომ კაცობრიობის გარდა, კოსმოსში სხვა ცივილიზაციებიც არსებობენ, ამიტომ ზოგიერთი ასეთი არტეფაქტი, შესაძლოა, „იქაური“ წარმოშობისაა. ასეა თუ ისე, მეცნიერებმა დღემდე მრავალი გამოცანის ახსნა ვერ მოახერხეს, ამიტომაც ისინი მუდამ ცხოველ ინტერესს იწვევენ, რომელთაგან ზოგიერთის შესახებ გაიმბობთ.

1885 წელს ავსტრიაში ლითონის საგანი იპოვეს, რომელიც ფორმით პარალელეპიპედს ჰგავდა. ამ საგნის წარმომავლობა დღესდღეობითაც გაურკვეველია. მის

მოტივანეს. ზოგიერთის აზრით, ეს ნამდვილად მეტეორიტი იყო, ზოგიერთი მას გონიერ არსებათა ქმნილებად მიიჩნევდა, სხვების აზრით კი, ეს მეტეორიტი დედამიწაზე დაცემის შემდეგ ადამიანის ხელით იყო დამუშავებული. აზრთა ასეთი სხვაობის ერთ-ერთი მიზეზი ისიც იყო, რომ საგანს მაინცდამაინც სწორი გეომეტრიული ფორმა არ ჰქონდა, მისი წარმოშობის საიდუმლოსთვის ფარდის ასდა მხოლოდ ქიმიურ ექსპერტიზას შეეძლო, თუმცა იგი არ ჩაუტარებიათ.

(გაბრიელა იმნაბა)

## უკლები შვილის დაბრუნება

პოლანდის ქალაქი ლეივარდენი, რომელიც ქვეყნის ჩრდილოეთ ნაწილში მდებარეობს, ფრისლანდიური ჯიშის ძროხებით, ციგურებით მრბოლელთა 200-კილომეტრიანი ტრასით და ადგილობრივი მუზეუმის ერთი მუდმივმოქმედი ექსპოზიციით არის განთქმული, რომელიც მე-20 საუკუნის ერთ-ერთი ცნობილი ქალის — მოცეკვავის, კურტიზანისა და ჯამშუში მამბა ხარის ცხოვრებას ასახავს.

მდიდარ ოჯახში დაბადებული მარგარეტა ჰერტრუდა ცელებერი 19 წლის ასაკში გათხოვდა კოლონიური ჯარის ოფიცერზე და მასთან ერთად პოლანდის ინდოეთში წავიდა. იქ მას მცირეწლოვანი ვაჟიშვილი დაეღუპა, განქორწინების შემდეგ კი ქმარმა ქალიშვილიც წაართვა — დედამ იგი ცხოვრებაში მხოლოდ ერთხელ, 1905 წელს სარკინიგზო სადგურში ნახა.

უოჯახოდ და უსახსრებოდ დარჩენილმა მარგარეტამ, რომელსაც პოლანდის ჩრდილოეთისთვის მეტად უჩვეულო

გრძნეული აღმოსავლური გარეგნობა ჰქონდა, მადამ კირევესკიას პარიზის სალონში ეგზოტიკური ცეკვების შესრულება ლედი მაკლეოდის ფსევდონიმით დაიწყო. ამის შემდეგ მან მთლად მიშველმა აზიური ხელოვნების მუზეუმში გამოსვლა დაიწყო და მატა ჰარი გახდა, რაც მალაიზიურად „დღის თვალს“, ანუ „მზეს“ ნიშნავს და ჭეშმარიტ სენსაციად იქცა.

მის მიერვე შეთხზული ერთ-ერთი ლეგენდით, დედამისი — იაველი უფლისწული, მამა კი მოტლანდიელი ბარონი იყო. ცეკვა მას თითქოს ინდუსტურ საყდარში შივას საკურთხეველის წინ ასწავლეს, სადაც პატარაობისას გაამწესეს. სინამდვილეში მისი ხელოვნება საკუთარი მდიდარი ფანტაზიის ნაყოფი იყო, რომელიც ვარჯიშის მის მიერვე მოგონილ სისტემაზე იყო დაფუძნებული.

ლეივარდენის მუზეუმის „მატა ჰარის დარბაზის“ ოთხიდან თითოეული კედელი მისი ცხოვრების გარკვეულ პერიოდს

ასახავს. მაგალითად, ერთ-ერთე ქალაქის ემბლემა — თათებში მახვილიანი ლომის გამოსახულება — ქალის სხეულზე დატანილი სვირინგის სახითაა გამოსხატული. მეორეზე ჭიპზე ვარდია დახატული, რომელიც პარიზში მოცეკვავის დებიუტს ასახავს, მესამეზე — წელს ქვევით დახატული შროშანია, მეოთხეზე კი მისი წერილების სტრიქონებია დატანილი, რომლებიც მან 1917 წელს დაწერა მას შემდეგ, რაც ერთდროულად საფრანგეთისა და გერმანიის სასარგებლოდ ჯაშუშობისთვის სასიკვდილო განაჩენი გამოუტანეს. ასოები გულის გარშემოა დაჯგუფებული. ფრისულ ენაზე ერთ წარწერაში, რომელზეც პოლანდის მოსახლეობის ათი პროცენტი ლაპარაკობს, ნათქვამია, რომ დაშვებულია შეცდომა, ის გზააბნეული, თავქარიანი პარიზელი ქალი კი არა, არამედ გადაკარგული ლეივარდენის ერთი უბრალო გოგონაა, სახელად გრეტი ცელერი.

„იგი თავისი დროის მადონა იყო, — წერდა გაზეთ „ზენიდერლანდერში“ მუზეუმის ექსპოზიციის კურატორი ჰერკ კუმანსი, — საზოგადოების წარჩინებული წევრი იყო, მის სურათს ყველა გამოცემის ფურცლებზე შეხვდებოდით. რაც უფრო ქალურად მიმზიდველი ხდებოდა. ამასთან, იგი თავისი ორმაგი აგენტობის საფრთხეს უფროვნად ვერ აღიქვამდა. იგი ბუნებით მსახიობი იყო და „ომობანას“ თამაშობდა.“

შენწყალბების თაობაზე მისი აპელაცია არ მიიღეს და თორმეტმა ჯარისკაცმა 1917 წლის 15 ოქტომბერს მას მკვრივ გაუგმირა. თვალების ახვევაზე მან უარი განაცხადა...



ჭიდაობა



ოფიციალური კანდიდატი მსოფლიო რეზუალტების

26 დეკემბერს ჭიდაობის ფედერაციის საანგარიშო ყრილობა გაიმართება, რომლის მსვლელობისას ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნებიც ჩატარდება. ფედერაციამ საპრეზიდენტო კამპანია 5 დეკემბერს გახსნილად გამოაცხადა, განაცხადების მიღება კი 20 დეკემბერს შეწყდება.

კალათბურთი

სლოვენიალი ფრთხილობენ - საქართველოს ყველას გაოცება შეუძლია

„თუკი საქართველოს ნაკრები ევროპის ჩემპიონატზე სრული შემადგენლობით ჩამოვა, მას ყველას გაოცება შეუძლია“, - ასე გამოეხატა მათურა სლოვენის ეროვნული გუნ-



დის მთავარი მწვრთნელი იურე ზდოვიცი ევროპის 2015 წლის ჩემპიონატის წილისყრის შედეგებს, რომლის თანახმადც სლოვენის და საქართველოს ნაკრებები ზედიზედ მე-3 ევროპასკეტზე ერთ ჯგუფში მოხვდნენ.

ზდოვიცი კომენტარი ფიბა-ევროპის ოფიციალურ ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა და მან სხვა მეტოქეებზეც შეაფასა: „ძნელი სათქმელია, წილისყრის დროს რამდენად გავემართლა. ტურნირისთვის ახალი სისტემა იქნა შემუშავებული და ეს ბევრ რამეს ცვლის. შესაძლოა, ჯგუფში ბრწყინვალედ ითამაშო, შემდეგ კი 1 მატჩი წააგო და ყველაფერი დასრულებული იქნება.“

ჩვენი მეტოქეებიდან პოლანდის გარდა ყველას ვიცნობთ. ხორვატეთი შინ თამაშობს და უმთავრესი ფავორიტი იქნება. ძლიერი გუნდი ჰყავთ ბერძნებსაც. გამიჭირდება მაკედონიის ნაკრების შეფასება. მის შემადგენლობაში არაერთი ცვლილება მოხდა, ამდენად, ევროპასკეტზე რა გუნდით ჩამოვა, ძნელი სათქმელია.

შეგახსენებთ, რომ 2015 წლის ევროპის ჩემპიონატის C ჯგუფის მატჩებს ხორვატეთის დედაქალაქი ზაგრები მიიღებს, საქართველოს და სლოვენის მატჩი კი ჯგუფური ეტაპის მე-2 დღეს, 6 ნოემბერს შედგება.

ვიტალი ჯაფარიძე

ინტერნეტიდან

ანა ჩაკვეტაძე გათხოვდა

ძართული წარმოშობის რუსეთის მოქალაქე, ყოფილი ჩოგბურთელი ანა ჩაკვეტაძე დაოჯახდა. ანას რჩეული შვეიცარიელი ბანკირი აღმოჩნდა, რომელიც უკრაინის მოქალაქეა.

27 წლის ანა ჩაკვეტაძე კორტს 2013 წელს დაემშვიდობა. მან კარიერაში WTA-ს 8 ტურნირი მოიგო. დიდი სლემის ტურნირებში ჩაკვეტაძის საუკეთესო შედეგი 2007 წელს ამერიკის ლია პირველობის ნახევარფინალში გახლდათ იყო. ანას ჩოგბურთით 3.9 მილიონი ამერიკული დოლარი აქვს გამოიმუშავებული.



როსტომ რაჭველიშვილი

ვინც ექვს...

ამჟამად - ამსტერდამი

საპარტიზო ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ზვიად სიჭინავა და გენერალური მდივანი რევაზ არველაძე გუშინ პოლანდიის დედაქალაქ ამსტერდამში ჩავიდნენ, სადაც ერთ-ერთ პოლანდიელ მწვრთნელს შეხვდებიან. თემა, რა თქმა უნდა, საქართველოს ეროვნული ნაკრების შესაძლო განვრთნაა.

სუსხიანი სტრიქონები

მერაბ შორდანიას: „ვიტესს“ უგულო, იდიოტი ადამიანები მართავენ...



მერაბ შორდანიას აზრით, ამჟამად არნემის „ვიტესს“ უგულო ხალხი და იდიოტები მართავენ. ამის შესახებ მან პოლანდიური კლუბიდან გაშვებიდან წლისთავზე ინტერნეტპორტალ omroepgelderland.nl-თან საუბარში განაცხადა.

„სიტყვები არ მყოფნის. დღემდე შოკში ვარ და თავს დამცირებულად ვგრძნობ. ერთი წლის წინ მწვერვალ-



ლუბი სჭარბობენ, მაგრამ გვარები არ სახელდება. საკმაო შანსია, საბოლოოდ ერთ-ერთი პოლანდიელი სკვადრისტი დაინიშნოს.

მანუჩარ გიორგაძე

ფეხბურთი

რომაული არდადეგები



იცოცხლეთ, საკუთარი მოედნის უპირატესობა ანგარიშგასანვივი ფაქტორია, მაგრამ როცა ტოლსწორი მეტოქე გყავს, განზილებისთვისაც მზად უნდა იყო.

ვერავენ იტყვის, ჩემპიონთა ლიგის პლეი-ოფში „მანჩესტერ სიტის“ გასვლა მოულოდნელობაა, თუმცა ინგლისის მოქმედი ჩემპიონის ამ ლოკალურ წარმატებას სიბლეს „რომასთან“ სტუმრად მოპოვებული გამარჯვება მატებს. თანაც, გასათვალისწინებელია, რომ პე-ლეგრიის გუნდს მარადიულ ქალაქში ტრავმირებული აგუერო და დისკვალიფიცირებული ტურე აკლდა. ასეთი თუ ისე, უბერებელი ტოტისა და კამპანიისათვის ჩემპიონთა ლიგის სეზონი ნაადრევად დასრულდა და საშობაო არდადეგებამდე გარსიას შეგირდებს მხო-

ლოდ „სერია“-ს შესვენებში მოუწევთ ოფლისღვრა. რაც შეეხება დღის მოვლენას, ასეთად უდავოდ კატალონიის დედაქალაქში გამართული მატჩრევანში უნდა მივიჩნიოთ, სადაც „ბარსელონას“ დამრტყმელმა ტრიომ (მესი, ნეიმარი, სუარესი) ღირსეულად დაასრულა „პარი სენ-ჟერმენტან“ უიღბლოდ

დაწყებული ბრძოლა (იბრაჰიმოვიჩი) - 3:1. ჯგუფური რაუნდის დასკვნითი ტურის სრული შედეგები. „ე“ ჯგუფი. „რომა“ - „სიტი“ 0:2, „ბაიერნი“ - ცსკა 3:0. „ბაიერნი“ - 15, „სიტი“ 8, „რომა“, ცსკა - 5-5 ქულა. „ვ“ ჯგუფი. „ბარსელონა“ - „პარი სენ-ჟერმენი“ 3:1, „აიაქსი“ - „აპოელი“ 4:0. „ბარსელონა“ - 15, „პარი სენ-ჟერმენი“ - 13, „აიაქსი“ - 5, „აპოელი“ - 1 ქულა. „ზ“ ჯგუფი. „ჩელსი“ - „სპორტინგი“ 3:1, „მარბორი“ - „შალკე“ 0:1. „ჩელსი“ - 14, „შალკე“ - 8, „სპორტინგი“ - 7, „მარბორი“ - 3 ქულა. „თ“ ჯგუფი. „ბილბაო“ - ბატე 2:0, „პორტუ“ - „შახტარი“ 1:1. „პორტუ“ - 14, „შახტარი“ - 9, „ბილბაო“ - 7, ბატე - 3 ქულა.

გიორგი შოთაძე



კულტურის სიახლეები

„ჯარისკაცის მამა“ — 50

საპარტიველო კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით, რუსთაველის თეატრში რეზო ჩხეიძის დაბადებიდან 88 და „ჯარისკაცის მამის“ 50 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართა. საიუბილეო საღამოს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი მიხეილ გიორგაძე დაესწრო.



საიუბილეო ღონისძიების ფარგლებში გაიმართა წიგნის „ჯარისკაცის მამა — 50“ პრეზენტაცია. უჩვენეს ფილმი „როგორ შეიქმნა ჯარისკაცის მამა“, ეს იყო სპეციალურად ამ დღისთვის მომზადებული კოლაჟი ცნობილი კინორეჟისორის ნამუშევრების შესახებ.

რეზო ჩხეიძეს იუბილე მიულოცეს ქ.ქუთაისის მერმა შოთა მურღულიამ, ქუთაისის გუბერნატორმა, საპატიო ქუთაისელმა. საიუბილეო საღამოში მონაწილეობდნენ ცნობილი ქართველი ხელოვნები გოგი დოლიძე, ჯანსუღ ჩარკვიანი, რომა რცხილაძე, ანსამბლები „რუსთავი“ და „ერისონი“. ღონისძიების დასასრულ აჩვენეს მხატვრულ-დოკუმენტური ფილმი „ის, რაც მასსოვს“.

მიხეილ გიორგაძემ კინოში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის რეზო ჩხეიძეს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს სპეციალური პრიზი — „ხელოვნების ქურუმი“ გადასცა.

ლიტერატურული კონკურსი „წერო“



მწერალთა სახლში საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით ლიტერატურული კონკურსის — „წერო“ დაჯილდოების ცერემონია გაიმართა.

კონკურსი „წერო 2014“ 3 ნომბერს დაიწყო. მსურველებს 5-10-გვერდიანი ნაწარმოების გამოქვეყნება ელექტრონული წიგნების მაღაზია Lit.ge-ის ვებ-გვერდზე 24 ნომბრამდე შეეძლო. სულ გამოქვეყნდა 345 ნაწარმოები.

კონკურსის მეორე ეტაპზე, ჟიურის წევრებმა 14 ნამუშევარი შეარჩიეს. რჩეული ნაწარმოებები ინტერნეტ-მაღაზია Lit.ge-ზე განთავსდა და მკითხველს 10 დღის განმავლობაში მათი შეფასების შესაძლებლობა შეეძლო.

„წერო-2014“-ის დაჯილდოების ცერემონიაზე კონკურსის გამარჯვებული სწორედ მკითხველთა შეფასებების საფუძველზე გამოავლინეს. პირველ

ადგილზე გასული ნაწარმოების ავტორს 3000 ლარი და კონკურსის სიმბოლო — ვერცხლის წერო გადაეცა. მეორე და მესამე ადგილზე გასული ნამუშევრების ავტორები კი შესაბამისად 2000 და 1000 ლარით დაჯილდოვდნენ.



საპარტიველო კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო

ლიტერატურული კონკურსის „წეროს“ ორგანიზატორები არიან — ელექტრონული წიგნების მაღაზია „Lit.ge“ და ფარმაცევტული კომპანია G.P.C. მხარდაჭერები — საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო და საქართველოს მწერალთა სახლი.

მიხეილ გიორგაძემ „მეტროპოლიტენ ოპერის“ დასის მენეჯერს სტივენ ბრაუნს უმასპინძლა

საპარტიველო კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრმა მიხეილ გიორგაძემ მსოფლიოს ერთ-ერთი წამყვანი საოპერო თეატრის — მეტროპოლიტენ ოპერის დასის მენეჯერს სტივენ ბრაუნს უმასპინძლა.

ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს დაფინანსებით, ცნობილი მენეჯერი საგანგებოდ იმყოფება თბილისში, რათა თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრს ადმინისტრაციული კუთხით საკუთარი გამოცდილება გაუზიაროს და კონსულტაციები გაუწიოს. ოპერისა და ბალეტის თეატრში უკვე მიმდინარეობს რეორგანიზაცია, რომლის ფარგლებშიც შეიქმნა ადამიანური რესურსების მართვის, განვითარებისა და მარკეტინგის დეპარტამენტები. საკუთარ უმდიდრეს ტრადიციებზე დაყრდნობითა და მსოფლიო მასშტაბის საოპერო თეატრის გამოცდილების გათვალისწინებით, თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრი დაიპყვიდრებს ერთ-ერთი მნიშვნელოვან ადგილს მსოფლიოს წამყვან საოპერო თეატრებს შორის.

მანანა თუმანიშვილის ნამუშევრების გამოფენა და კატალოგის პრეზენტაცია

მეორე მუზეუმის შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმში მხატვრის მანანა თუმანიშვილის ნამუშევრების გამოფენა და აგრეთვე ავტორის ნამუშევრების საიუბილეო კატალოგის პრეზენტაცია გაიმართა, რომელიც საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით გამოიცა.

გამოფენაზე წარმოდგენილია ავტორის მიერ აკვარელში შესრულებული სამოცამდე ნამუშევარი. გამოფენა 2015 წლის 19 იანვრამდე გაგრძელდება.

ვენეციის ხელოვნების საერთაშორისო ბიენალეზე

საპარტიველო მონაწილეობს 2015 წლის ვენეციის ხელოვნების საერთაშორისო ბიენალეში. ამ თემასთან დაკავშირებით კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრმა მიხეილ გიორგაძემ ბრიჯინგი გამართა და ბიენალეში მონაწილეობის მისაღებად კონკურსი ოფიციალურად გამოაცხადა.

ვენეციის 56-ე ხელოვნების საერთაშორისო გამოფენა იტალიაში 2015 წელს 9 მაისიდან 22 ნოემბრამდე გაიმართება. ქართული პავილიონი ვენეციის ბიენალეს ერთ-ერთ მთავარ საგამოფენო სივრცეში — „არსენალზე“ განთავსდება.

ვენეციის ბიენალეს წლებანდელი თემაა „მომავალი სამყაროს მრავალფეროვნება (All the world futures)“.

საერთაშორისო ხელოვნების ვენეციის ბიენალე 1895 წელს დაფუძნდა და უკვე საუკუნეზე მეტია, ყველაზე პრესტიჟულ საერთაშორისო ხელოვნების ცენტრად ითვლება. საქართველომ მასში მონაწილეობა პირველად 2007 წელს მიიღო.

ავღანეთში ქართველი სამხედრო მოსამსახურეები გეგმურ წვრთნებს გადიან

თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, სწავლების პირველ ეტაპზე სამხედრო მოსამსახურეებმა საავიაციო ბაზის სასროლეთზე საცესტლე მომზადება გაიარეს.

ქართველმა სამხედროებმა სხვადასხვა მანძილზე პისტოლეთიდან და ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღიდან ისროლეს. თითოეული სავარჯიშოს შესრულების შემდეგ ჯარისკაცების საცესტლე მომზადების დონე შემოწმდა.

მსგავსი სწავლებები მუდმივი საბრძოლო მზადყოფნის შენარჩუნების მიზნით, საერთაშორისო მისიის ფარგლებში სწორად ტარდება. მომდევნო ეტაპზე ქართველი სამხედროები ტაქტიკურ სწავლებებს გაივლიან.

51-ე ბატალიონი ავღანეთში სამშვიდობო მისიაში მიმდინარე წლის ნოემბრიდან ჩაერთო. ბატალიონის ამოცანა ბაგრამის საავიაციო ბაზის შიდა და გარე უსაფრთხოების დაცვაა.

ეპიტაფია

გურამ გვასალია



2014 წლის 9 დეკემბერს გარდაიცვალა ღირსეული დასტაქარი, პედაგოგი, საზოგადო მოღვაწე, პრაქტიკული მედიცინის ძლიერი და თვალსაჩინო მოღვაწე, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გურამ ალექსანდრეს ძე გვასალია.

დაიბადა 1946 წელს, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი დაამთავრა 1969 წელს. 1969-1972 წლებში იყო ჰოსპიტალური ქირურგიის კათედრის ასპირანტი, 1973-1978 წლებში — კათედრის უფროსი ლაბორანტი, 1974 წლიდან შეთავსებით რესპუბლიკური ცენტრალური კლინიკური საავადმყოფოს ანესთეზიოლოგიისა და რენიმატოლოგიის განყოფილების ექიმი-რენიმატოლოგი, 1978 წლიდან — ჰოსპიტალური ქირურგიის კათედრის დოცენტი, 1994 წლიდან — პროფესორი, 1983-1989 წლებში იყო თსი ინტერნაციონალური საავადმყოფოს დეკანის მოადგილე, 1989-1994 წლებში — ჯანდაცვის სამინისტროს მთავარი ქირურგი, 1994-1996 წლებში ჯანდაცვის სამედიცინო პროგრამების მართვის დეპარტამენტის უფროსი, 1996-2000 წლებში ცენტრალური კლინიკური საავადმყოფოს კლინიკური ხელმძღვანელი. აფხაზეთის კონფლიქტში აქტიური მონაწილეობისათვის დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენით, 2008 წელს დაჯილდოებულია ღირსების ორდენით. 1994 წელს აირჩიეს სამედიცინო-ბიოლოგიური აკადემიის აკადემიკოსად.

2006-2011 წლებში მუშაობდა გორის სამხედრო ჰოსპიტალში გენერალურ დირექტორად, დირექტორის მოადგილედ სამკურნალო დარგში (2007-2011 წწ), ბოლო წლებში მუშაობდა გორში გორმედის კლინიკურ დირექტორად.

1974 წელს დაიცვა საკანდიდატო, ხოლო 1992 წელს — სადოქტორო დისერტაცია, გამოქვეყნებული აქვს 2 მონოგრაფია, 200-ზე მეტი სამეცნიერო სტატია ქირურგიის აქტუალურ საკითხებზე.

პროფესორი გურამ გვასალია იყო გულისხმიერი მკურნალი, დიდებული ქირურგი, მრავალი პაციენტისთვის დაუვიწყარი ექიმი, რომელთა გარემუც სიცოცხლე არადა მიაჩნდა.

ბატონი გურამის ნათელი ხსოვნა მუდამ დარჩება მეგობრების, ახლობლების, მრავალი მის მიერ გადაარჩენილი ავადმყოფის გულში, რომელთა პატივისცემა და სიყვარული ჰქონდა მოპოვებული.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, თსსუ ქირურგიულ სწავლებათა მიმართულება (ყოფილი ჰოსპიტალური ქირურგიის კათედრა) და აკად. ნ. ყიფშიძის სახელობის ცენტრალური საუნივერსიტეტო კლინიკის თანამშრომლები იუსყევბიან, რომ გარდაიცვალა პროფესორი

გურამ გვასალია და სამძიმარს უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახს.

ინფორმაცია

პაროპორტის გზაზე ყურძნის მონუმენტი აიღეს

თბილისის საერთაშორისო აეროპორტის გზაზე ყურძნის მონუმენტი აიღეს. დემონტაჟის სამუშაოები თითქმის დასასრულს უახლოვდება. მუშების ინფორმაციით, ყურძნის მონუმენტის ადგილზე სხვა ძეგლის ან სკულპტურის დადგმა არ იგეგმება. მათივე თქმით, მონუმენტი 4-5 დღის წინ ქარმა წააქცია და მისი აღება ამის გამო გადაწყდა.

დემონტაჟის სამუშაოები თბილისის მერიის დავალებით ხორციელდება.

საპარტიველო არქიტექტორთა კავშირის განცხადება

2014 წლის 27 დეკემბერს გაიმართება საქართველოს არქიტექტორთა კავშირის XXVI საერთო (საარჩევნო) კრება. კრება გაიმართება ქ.თბილისში, „ექსპოჯორჯის“ საგამოფენო კომპლექსის ტერიტორიაზე. მისამართი: აკაკი წერეთლის გამზირი № 118, პავილიონი № 6.

მონაწილეთა რეგისტრაცია კრების მუშაობის დასაწყისი 9.30 სთ. 10.30 სთ.

- კრების დღის წესრიგი: 1. საკ-ის გამგეობის ანგარიში; 2. საკ-ის სარევიზიო კომისიის ანგარიში; 3. საკ-ის პროფესიული საქმიანობის, საავტორო უფლებების და ეთიკის კომისიის ანგარიში; 4. საკ-ის მმართველი ორგანოების არჩევნები; 5. სხვადასხვა.

საპარტიველო არქიტექტორთა კავშირი კრების მასალები იხილეთ კავშირის საიტზე www.archunion.ge

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19. 299-62-77; 568 82-09-84..

შემოთავაზებულ კითხვებზე სწორი ან არასწორი პასუხები არ არსებობს. ფსიქოლოგების მიერ შემუშავებული კითხვები საკუთარ თავს თითოეულმა ადამიანმა უნდა დაუსვას, ხოლო რამდენად გულწრფელი იქნება იგი, ეს თავად მისი, ან მისი ახლობლების გადასაწყვეტია. ისე კი გახსოვდეთ, რომ ზოგჯერ სწორად დასმული კითხვა თავისთავად პასუხიცაა.

- რამდენ წელს მისცემდით თქვენ თავს, საკუთარი ასაკი რომ არ იცოდეთ?
- რა უფრო უარესია: წარუმატებლობის განცდა თუ საერთოდ არაფრის განცდა?
- თუკი ცხოვრება ასე ხანმოკლეა, რატომაა, რომ უამრავ ისეთ რამეს ვაკეთებთ, რაც არ გვიყვარს და, ამავე დროს, ასე ცოტას ვაკეთებთ ისეთს, რაც ჭეშმარიტად გვსიამოვნებს?
- თუკი სამუშაო დასრულებულია, ყველაფერი ნათქვამია და გაკეთებულია, რა უფრო მეტი იყო ლაპარაკი თუ საქმე?

იმისოდ, რომ მისით მაქსიმალურად კმაყოფილი იყოთ?

- რამდენად აკონტროლებთ იმას, რაც თქვენს ცხოვრებაში ხდება?
- რა უფრო გადარდებთ: რაღაცები სწორად გააკეთოთ თუ სწორი რამეები აკეთოთ?
- თქვენთან საუბრისას იმ ხალხმა, ვისაც აფასებთ და პატივს სცემთ, ისეთი კაცის ქილიკი რომ დაიწყოს, რომელიც არც იციან, რომ თქვენი ახლო მეგობარია, რას მოიმოქმედებთ?
- პატარა ბავშვისთვის ერთადერთი რჩევის მიცემა რომ შეგეძლოთ, რას ეტყობდით?
- შეძლებდით კანონის დარღვევას საყვარელი ადამიანის გადასარჩენად?
- რას აკეთებთ ცხოვრებაში სხვებისგან განსხვავებულად?
- ისეთი რა განიჭებთ ბედნიერებას, რაც სხვებს ბედნიერად არ ხდის?

# ინტერვიუ სარკესთან



- ქვეყანაზე მხოლოდ ერთი რამის შეცვლის უფლება რომ გქონდეთ, რა იქნებოდა ეს?
- ბედნიერება ეროვნულ ვალუტად რომ გადაიქცეოდეს, თქვენი აზრით, რომელი სამუშაო გაამდიდრებდათ?
- თქვენ იმას აკეთებთ, რისიც გნამთ, თუ ცდილობთ იწამოთ ის, რასაც აკეთებთ?
- რას შეცვლიდით საკუთარ ცხოვრებაში სა-

- რისი გაკეთება გინდოდათ მთელი გულით, მაგრამ მაინც არ აკეთებთ? რა არის ამის მიზეზი?
- ეჭიდებით რამე ისეთს, რისთვისაც ხელი დიდი ხნის წინათ უნდა გაგეშვათ?
- სხვა ქვეყანაში მუდმივად საცხოვრებლად გადასვლა რომ შემოგთავაზონ, სად წახვიდოდით და რატომ?
- რატომ ხართ ისეთი, როგორც ხართ?
- საკუთარი თავის მეგობრობა რომ შეგეძლოთ, ისურვებდით ასეთი მეგობრის ყოლას?
- რა უფრო უარესია: თქვენი საუკეთესო მეგობარი საცხოვრებლად სხვა ქვეყანაში რომ გადავიდეს, თუ თქვენს გვერდით ცხოვრობდეს, მაგრამ ურთიერთობა აღარ გქონდეთ?
- ყველაზე მეტად ცხოვრების მაღლიერი რის გამო ხართ?
- შესაძლებელია თუ არა სამართლის უბრალოდ მიღწევა?
- რა არის თქვენთვის ბავშვობის ყველაზე ბედნიერი მოგონება? რა ხდის მას ასეთად?
- შეიძლება თუ არა ეჭვის ნასახის გარეშე იმის ცოდნა, თუ რა არის კარგი და რა – ცუდი?
- თუ გაქვთ იმის შეგრძნება, რომ დღევანდელი დღე აქამდე ასჯერ გამოვრებულა?
- თუკი ყველანი, ვისაც იცნობთ, სვალ მოკვდებიან, დღეს ვის მოინახულებდით?
- მოისურვებდით საკუთარი სიცოცხლის 10 წლის გაცვლას მომხიზვლელობასა და მსოფლიო დიდებაზე?
- რაშია განსხვავება ცხოვრებასა და არსებობას შორის?
- ყველანი თუ არა, ბევრნი მაინც შეცდომებზე ვსწავლობთ. ჰოდა, მას რატომაა, რომ მათ დაშვებას ვერიდებთ?
- რას გააკეთებდით სხვაგვარად, თუკი გეცოდინებოდათ, რომ ამისთვის არაფერი არ დაგზარაზავთ?
- როდის შეგიჩნევიათ ბოლოს საკუთარი სუნთქვა და გულისცემა?
- ვინ გიყვართ? როდის გამოხატეთ ბოლოს თქვენი ეს სიყვარული საკუთარი ქცევით?

**პასიენტი საჭურაფლოდ!**

ეს არ არის რეკლამა! სამედიცინო რეკლამა მისი უხეირობის ნიშანია. ეს მხოლოდ **ინფორმაცია**... პროფესორი არჩილ ხომასურიძე თავის გუნდთან ერთად აგრძელებს იოსებ ჟორდანიას დანყებულ საქმეს ახალ „რეპროდუქტოლოგიის ინსტიტუტში“, თბილისი, 0112, თევდორე მღვდლის 13 ტელ: (995 32)224 00 99, 224 00 98.

**ცინცხალი ანეკდოტი**

- ძალიშვილი, ნება მიბოძეთ, დაგვმაროთ.
- გმადლობთ, ჩემი ჩანთები მძიმე არ არის.
- რა შუაშია ჩანთები, მე პლასტიკური ქირურგი ვარ.

ნამდვილი სტუდენტი ის კი არ არის, ვინც კითხულობს, რაში გვაქვს დღეს გამოცდაო, არამედ ის, რომელიც კითხულობს, რა გამოცდა ჩავაბარე ახლაო.

ასწავრ დაეხმარება?

- დაივიწყებენ.
- ერთხელ ეტყვი უარს?
- დაისსომებენ.
- ცხოვრებით არის შემონაშენი.

თუ გოგოს დროულად არ დაათრობ, შეიძლება მუდმივად მეგობრებად დარჩეთ.

ტიპს სამხატვრო სკოლაში ღებულობენ მასწავლებლად.

- სამუშაოს მუდამ ნამუსიანად ასრულებთ?
- ეკითხება მას დირექტორი.
- რა თქმა უნდა. ჯერ არც ერთ გამყიდველს არ გაურჩევია ჩემ მიერ დახატული კუბიურები ნამდვილისგან.

სასწრაფოდ უნდა გაგიკეთოთ ოპერაცია, - ეუბნება ქირურგი ავადმყოფს.

- არავითარ შემთხვევაში. ოპერაციას სიკვდილი მიჩვევია.
- ერთი მეორეს ხელს არ უშლის.

**გზა უკვდავებისკენ...**

# გიორგობისთვის სეზა

გიორგობის დასაწყისში დაემშვიდობა თავის მშობლიურ ქვეყანას ორი ერთმანეთზე უკეთესი მამულიშვილი, ქართული კულტურის, თეატრისა და კინოს, ქორეოგრაფიის ორი გამოჩენილი მოღვაწე – გურამ ფირცხალავა და რევაზ ჭოხონელიძე.

ორივე ერთ დღეს დაემშვიდობა... ორივე ერთ დღეს დაიკრძალა დიდუბის პანთეონში, თითქმის მთელმა თბილისმა გააცილა ასე ძვირფასი პიროვნებანი საიქიოს. სევდითა და ნალევლით გააცილა... აბა, ეგ შეშლებოდა? ანზორ ბაბუხაძე – შესანიშნავმა ეკონომისტმა და პუბლიცისტმა, 2001 წელს ჩვენი დიდებული ადამიანების უკანასკნელ გზაზე გამცილებელი სპეციალური გაზეთი „თანადგომა“ დააარსა და ბევრს მიაგოციდეც პატივი. ამ გაზეთით გურამ ფირცხალავასა და რევაზ ჭოხონელიძის გარდაცვალების მე-40 დღისათვის ერთად და ცალცალკე მიუძღვნა მეგობრებს „თანადგომა“.




რა გასაკვირია, სევდა ახლავს ორივე ნომერს – აქეთ გურამ ფირცხალავას, იქით რევაზ ჭოხონელიძეს ეთხოვებიან მეგობრები, კოლეგები... საუბრობენ ისინი გურამის კაცობასა და მსახიობურ ოსტატობაზე, რეზოს ქორეოგრაფიის განუმეორებლობაზე... ძველი „ივერიელი“ ვახტანგ ტატიშვილი ლექსსაც კი უძღვნის გურამ ფირცხალავას, რომელიც ასე მთავრდება:

ჩვენო ძმაო, დიღო გურამ, ჩვენ აგინთებთ სანთლებს მუდამ! უამრავი წელი გავა, არ ჩაქრება ფირცხალავა!... რევაზ ჭოხონელიძის დიდოსტატობას კი ერთგან უცხოური პრესაც ამტკიცებს. „ქართული ლეგენდის ხილისას „ერისიონის“ ტორნადომ გარღვია გალაქტიკა“... „ეს ბევრად მეტია, ვიდრე ფოლკლორი, ეს უმაღლესი სრულყოფილებაა!“ ორივე გაზეთი სავსეა გულმხურვალე მასალებით, უნიკალური ფოტოებით! კიდევ ერთხელ მაძლობა ანზორ ბაბუხაძის! სევდით ვხურავთ გაზეთებს და ისლა გვრჩება სანუგეშოდ, რომ ჩვენს მაღლიან მინაზე არ დაიღვეიან გურამ ფირცხალავასა და რევაზ ჭოხონელიძის ნიჭისა და შემართების სადარი ქალაქაგებები!... თქვენი სულები კი უკვე ზეცაშია, ნათელი დაგაღვებთ, ძმებო!

**ვილან მარდალაიშვილი**

**ფოტოფაქტი**



სასბაღო მხატვარი ჩინეთიდან ქსიაომინგი ხატავს სურათებს ხელების დაუხმარებლად. სავადავში ენის ჩანებით იგი ქმნის ძირითად ნახატს. ტრადიციულ ფუნჯს იგი ასევე იყენებს, მაგრამ იგი უჭირავს კბილებით. სურათის წვრილმანი დეტალების დამუშავებისთვის იყენებს ბოსტნეულისა და თევზის ნაწილაკებს. ტუჩების მოქნილობა – და უნიკალური შედეგი მზადაა!

**ავტორთა საჭურაფლოდ!**

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

**საქართველოს რესპუბლიკა**  
SAKARTVELOS RESPUBLIKA

გ. ანგვლიანის (მომხილი პერომსკაინა) ქ. 19  
ინფორმაცია 66434

გამომცემელი: შპს „თანადგომა“-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ. 599 79-76-79) შპს „ახალი საუკუნე“ იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

ua(უა)070.4(479.22) 5-323  
ISSN 2233-3851  
9 772233 1385001

მთავარი რედაქტორი  
ალექს ასლანიშვილი  
299-62-77;  
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:  
გურამ გომიანიშვილი 599 53-76-16;  
რუსლან რუსია 599 17-21-21;  
საბრტაძე მოხუცი 599 36-00-35  
პასუხისმგებელი მდივანი  
მამუკა ვაჟაძე 514 33-33-24